# დროება

**ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი**

№ 7 ოთხშაბათი, 26 ნოემბერი 1908 წ. № 7

გაზეთი „დროება“ ერთის წლით ღირს 7 მან., ნახევარი წლით—4 მან. 50 კაპ., ერთის თვით—90 კაპ., გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადებ'ის ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ სალამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება რედაქტორთან ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქუჩა, № 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА“.

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.**



**ტფილისის სახაზინო თეატრი**

ოთხშაბათს, 26 ნოემბერს, უკანასკნელი გასტროლი ვ. სარაჯიშვილისა

„მ ი ნ ი ო ნ ი“

მონაწილენი: ქ-ნნი ოსიპოვა, ლავროვა, კალინინა მეორე; ბ-ნი დანილევსკი, სარაჯიშვილი, ტომსკი, კარელინი და სხ.

დირიჟორი **ა. ეიხენვალდი.** რეჟისორი **ც. ურბანი.**

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

**ანონსი:** 27 ნოემბერს „აფრიკანკა“; 28 ნოემბ. გამოსამშვიდობელი გასტროლი სარაჯიშვილისა—„ტრავიატა“; ამ ცოტა ხანში ბენეფისი სარაჯიშვილისა.

პოეტის

**აკაკი წერეთლის იუბილეი**

კვირას, 1908 წლის დეკემბრის 7-ს

I

**დილის დღესასწაული**

1. დილის 10 ს. **აკაკი წერეთლის** ბინაზე შეიკრიბებიან არჩეული პატივისმცემელნი და მათის თანხლებით იუბილარი 10 ნახევარ ს. გაემგზავრება სიონის ტაძარში, სადაც გადახდილი იქნება პარაკლისი.

2. პარაკლისის გათავების შემდეგ იუბილარი დაბრუნდება სახაზინო თეატრში.

3. 12 საათზე სახაზინო თეატრის სცენაზე იუბილარი მიიღებს დეპუტაციებისაგან. მილოცვების წინ ხორო და ორკესტრი შეასრულებენ საიუბილეო კანტატას. დღის დღესასწაული გათავდება 4 ს. საღამოს იუბილარის სიტყვით.

II

**საღამოს დღესასწაული**

საღამოს 8 ნახევარ ს. სახაზინო თეატრში გაიმართება საიუბილეო წარმოდგენა.

**თამარ ცბიერი** — მეორე მოქმედება. **პატარა კახი** — მეორე მოქმედება.

**ცხოველი სურათი აპოთეოზი**

დეპუტაციები, რომელნიც ვერ მოასწრებენ დღით მილოცვას, მიულოცვენ იუბილარს საღამოთი, პირველსა და მეორე წარმოდგენას შუა.

ბილეთები სახაზინო თეატრში შესავლელად როგორც დღის, ისე საღამოს დღესასწაულისთვის იყიდება წ.-კითხვის საზოგადოებაში. (5—უ.—2)

**კავკასიის სამკურნალო წყლების გამგეობა**

აუწყებს ბ-ნთ მომხმარებელთ, რომ მან ტფილისში გახსნა სახაზინო საწყობი კავკასიის ბუნებრივ სამკურნალო წყლების

**ნარზანის და ესენტუკისა № 20**

სასახლის ქუჩა, სახლი სარაჯიშვილისა, რუსეთის სატრანსპორტო და დამზღვევ საზოგადოების კანტორა. ტელეფონი № 148.

Дворцовая улица, д. Сараджева, контора Россійскаго Транспортнаго и Страховаго Общества. Телефонъ N 148.

**ფასები საწყობში:**

ვაგონობით (120 ყუთი) 1 მ. 80. კ. ყუთი

ყუთობით (100 ნახ. ბოთლი) 12 მ. 30 კ. „

ნახევარ-ბოთლობით ჭურჭლიანად 14 კ.—

(12—ნ—5) დირექტორი **ს. ტილიჩეევი.**

**შედგენილი გრ. ჩარკვიანისაგან**

**ქართველთათვის, კათოლიკეთათვის, სომეხთათვის, მაჰმადიანთათვის და ებრაელთათვის.**

**კედლის კალენდარი 1909**

**გამოცემა ამხ. „ხორაპნისა“. ფასი 40 კაპ.**

კედლის კალენდრის კარდონზედ დახატულია საზოგადო მოღვაწეთა სურათები. სხვათა შორის მოთავსებულია მეფე **ვახტანგ მეექვსეს სურათი** 200 წ. სტამბის დაარსების გამო საქართველოში და აკაკის სურათი მისი 50 წლის მოღვაწეობის იუბილეს გამო. ტფილისში კალენდრები იყიდება: წერა კითხვის გამავრცელებელ წიგნის მაღაზიაში, „ცოდნის“ წიგნის მაღაზიაში, „ალიონის“ წიგნის მაღაზიაში, „რეჩის“ წიგნის მაღაზიაში და სხვაგან.

დაიბეჭდა და 24 ამ თვეს გამოვა გასასყიდად **ჯიბის კალენდარი** 1909 წ., შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ. კალენდარში მოთავსებულია, სხვათა შორის, ბელეტრისტული ნაწარმოები აკაკისა, სამეცნიერო წერილი ივ. გომართელისა, ისტორიული ცნობანი ზ. ჭიჭინაძის და სხვა. კალენდარში მოთავსებულია 30-მდე სურათი პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეთა. ფასი კალენდრისა 20 კაპ.

კალენდრის გამყიდველებს დაეთმობათ 20, 25 და 30 პროცენტი იმის და მიხედვით, ვინ რამდენს იყიდის ერთად.

ადრესი კალენდრების საწყობისა: ტფილისი, სტამბა „სორაპანი“, მ. გაჩეჩილაძეს. (10—6—1)

**ექიმი ვ. ღამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირაუქმის გარდა. (უ)

**ექიმი კბილისა გრიგ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—5 საათ. ოლგას ქუჩა, N 33. (25—ნ.—7)

**ექიმი ი. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით ...—11 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ...ა N 14. (უ)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**სამკურნალო ქუთაისში** ქირურგიული და ქალთა სნეულებისა ტერაპევტიულ განყოფილებით, მუდმივ საწოლებით და მშობიარეებისათვის ოთახით

**ექიმი ევ. ბოკერიასი**

ამ წლის 10 ნოემბრიდან გადადის პრინცესა მიურატის სახლში, გიმნაზიის ქუჩაზე, სადაც წინად თოფურიას სამკურნალო იყო. (6—11)

**ექიმი გ. ე. ხოჯაპარუხოვი** ყოფილი ასისტენტი ოდესის უნივ. კლინიკისა, მიღება სიფილისით, საშარდით და კანით ავადმყოფთა დილით 9—11 ს., საღამოთი 5—7 ს; ქალებისა და ბავშვებისათვის 11—12 ს. ხოლოლაკო, ბებუთოვის ქ., N 29, საკ. სახ. (25—639—2)

**ექიმი კბილისა ნ. რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

**ექიმები კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი** იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აზდორნის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—34)

**ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში** იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუსუნატი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—ფ.—77)

**ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივნისა. (უ)

**ექიმი ქუთაისში ვ. წერეთელი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით 9—12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

**ექიმი კბილისა ქუთაისში მ. ი. ბიბიშვილი** იღებს ავადმყოფებს დილით 9—1 ს. საღამოთი 3—5 ს. ბალახვანის ქუჩა, ფიფინოვის სახლი, N 4. (25—6—12)

**ექიმი ჯაფარიძე** ქ. ქუთაისში შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა (6—17)

**ექიმი ა. ი. აშიანცი** ქუთაისში ყოფილი ორდინატორი ხარკოვის საგუბერნიო ქირურგიულ კლინიკისა, იღებს ავადმყოფებს ქირურგიულ და ვენერიულ, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებათა. დილით 8—12, საღამოთი 5—7 ს. ტფილისის ქ., სახლი რუხაძისა, N 20. (25—კგ.—5)

**კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—7 საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ნ.—36)

**გეომეტრი და მარკშაიდერი**

**გ. ს. ასათიანი**

გეგმავს ყოველგვარ ადგილებს, ადგენს ზომიერ ფასებში **სახლებისა** და სხვა სამოქალაქო შენობების **პლანებსა და პროექტებს.**

ქალაქი ქუთაისი, ქალაქის გამგეობა, ვ. ს. ასათიანი. (0—ნ.—59)

გამოვიდა და იყიდება

ბროშიურა კიტა აბაშიძისა:

**„აკაკი წერეთელი“**

(სალირიკო პოეზია)

ფასი სამი შაური.

(10—უ.—2)

**ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების** გამგეობა ამით აცხადებს, რომ განთავისუფლდა ერთი სტიპენდია

**ძმ. ზუბალაშვილებისა**

სტიპენდია მიეცემა ღარიბს ქართველს მოსწავლეს, განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა და წოდებისა, რომელიც 1) უკვე სწავლობს დაბალს ან საშუალო სპეციალ სასწავლებელში, ან 2) ახლა აპირებს ასეთს სასწავლებელში შესვლას.

თხოვნები სტიპენდიისათვის უნდა გამოიგზავნოს წ.-კითხვის საზოგადოების გამგეობის სახელზე, ტფილისში (Тифлисъ. Общество грамотности), არა უგვიანეს ამა წლის დეკემბრის 25-ისა.

თხოვნაში აღნიშნული უნდა იყოს: ა) სასწავლებელი (და მისი სპეციალი განყოფილება), რომელშიაც სტიპენდიის მთხოვნელი სწავლობს, აგრეთვე კლასი, რომელშიაც არის; ბ) სასწავლებელი, რომელშიაც მთხოვნელს მიუღია მოსამზადებელი სწავლა, და ის სასწავლებელი (და მისი სპეციალი განყოფილება), რომელშიაც შესვლას აპირებს; გ) ოჯახური და ნივთიერი მდგომარეობა სტიპენდიის მთხოვნელისა.

თხოვნასთან წარმოდგენილი უნდა იქმნეს: ა) მოწმობა სასწავლებლის მთავრობისა, სადაც მთხოვნელი სწავლობს, ბ) მოწმობა იმ სასწავლებლისა, რომელშიაც მთხოვნელს მიუღია მოსამზადებელი სწავლა, თუ იგი ახლა შედის დაბალს ან საშუალო სპეციალს სასწავლებელში. (3—უ.—1)


## ტფილისი, 26 ნოემბერი.

ტფილისის გაზეთებში მკითხველი ყოველ დღე ახალ-ახალ ცნობებს კითხულობს აკაკის საიუბილეოდ მზადების შესახებ. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ დღესასწაულისთვის ემზადებიან არა მარტო იმ ადგილებში სადაც მკითხველს განათლებულ ქართველთა წრეები ეგულება, არამედ საქართველოს ისეთ მიყრუებულ ადგილებშიაც კი, სადაც დღემდე არავითარი ნიშნები არა სჩანდა კულტურულ თვითმოქმედებისა. ეს გარემოება საგულისხმო ნათელსა ჰფენს მთელს ჩვენს ცხოვრებას და ერთხელ კიდევ ამტკიცებს შეურყეველის სიმტკიცით, რომ ჭორია და სიყალბე, ვითომ ნაციონალური თვითშეგნება და სოლიდარობის გრძნობა ქართველ ხალხს სისტემატიურად უსუსტდებოდეს და უქარწყლდებოდეს. მესამოცე წლების მოღვაწენი, ვინც კი ჩვენ დრომდე მოაღწია, ერთხმივ ამოწმებენ, რომ ეხლანდელი საქართველო **გაცილებით მაღლა სდგას** მაშინდელზე როგორც თვითშეგნებით, აგრეთვე კულტურული თვითმოქმედებითო. ეს ძვირფასი მოწმობაა. ქართველ ხალხის კულტურული ზრდა არც ნახტომებით ჰხდება, როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონიათ, და არც ნაციონალურ კალაპოტის გარეშე მოძდინარეობს. პირიქით, მძიმე გარეშე პირობებში მყოფი ერი სისტემატიურის თანდათანობით მიიწევს პროგრესსის გზაზე და ასევე სისტემატიურად იზრდება იმისი ნაციონალური თვითშეგნება. რა ვუყოთ, რომ უძლებ გულს მთლად და სრულად ვერ აკმაყოფილებს აწინდელი მდგომარეობა? რა ვუყოთ, რომ ზოგჯერ უიმედობის ალში ეხვევა გონება?!—ეს მომქმედი პესსიმიზმის გავლენაა, იმ პესსიმიზმის, რომელიც დაუსრულებლივ გვერეკება წინ და სასტიკ კრიტიკის ცეცხლში გაგვატარებინებს თანამედროვე პირობებს.

ნახევარ საუკუნის წინ, როცა აკაკიმ პირველად ააჟღერა ეროვნული სიმები თავის ჩანგისა, იმას სულ ორიოდე, თითებზე ჩამოსათვლელი შეგნებული ადამიანი აძლევდა ბანს. მაშინდელ მოღვაწეთა სულის კვეთება ვიწროდ მოხაზულ წრეებში იყო მომწყვდეული და აქაც კი ფერმკრთალობა ეტყობოდა. არც ფართოდ შემუშავებული და განვითარებული გეგმა საზოგადო მოღვაწეობის, არც განსაზღვრული რამ ეროვნულ-პოლიტიკური იდეალი, არც ხალხის მასსიური მოძრაობა მაშინ არა ყოფილა. შეგნებულ ინტელიგენციის წრე იმ დროს ისე პატარა იყო, რომ ფართოდ საქმის დაჭერა მძიმე გასაბედად სჩანდა. ეხლა ქართველ ხალხის ცხოვრება სულ სხვა სურათს წარმოადგენს. რაც ნახევარ საუკუნის განმავლობაში ქართველ მოღვაწეებს უთესნიათ, იმას უქმად არ ჩაუვლია. აკაკის, ილიას, გ. წერეთლის, ს. მესხის, დ. ყიფიანის, გ. ერისთავის და სხვების ნათესი ყანა ეხლა პურდება. აკაკის ორმოცდა ათი წლის იუბილე მარტოოდენ ძვირფას და ნიჭიერ მგოსნის დღესასწაული არ არის, ეს—თუ გნებავთ, ქართველ ხალხის კულტურულ განვითარების გამოფენაა. პოეზიას მწირი კულტურული ნიადაგი არ უყვარს, ასეთ ნიადაგზე პოეზია ვერა ხარობს. უძველეს დროიდან მოკიდებული დღევანდლამდე ისტორიული მაგალითები ერთსა და იმავე აზრს გვიკარნახებენ: პოეზია კულტურულ მდგომარეობის ბარომეტრია. სადაც კულტურა და ეროვნული თვითმმართველობა სისტემატიურად უკან-უკან მიდის, იქ პოეზია განვითარების ხაზზე ფეხს ვერ იკიდებს. ხელოვნება საერთოდ და პოეზია კერძოდ კულტუროსნობის უუწვერვალესი გამოხატულებაა. იმისი ნიშნობლივი და დამახასიათებელი თვისება ისაა: რომ იგი თავის მშვენიერებით ერთნაირად ჰხიბლავს იმათ, ვინც გარდამავალ მიმდინარე საქმეებში უთანხმოებისა გამო ხშირად შეურიგებელ მტრებს ჰგვანან. კულტურა არც მარტოოდენ სოლიდარობის განვითარებაა, არც მარტოოდენ დაქსაქსულების ან, თუ გნებავთ, დიფერენციაციისა; ის ერთსა და იმავე დროს ერთიც არის და მეორეც. რამდენადაც პოლიტიკურ სფერაში კულტუროსან ხალხისთვის აუცილებელია უთანხმოება და სხვა და სხვაობა, იმდენადვე აუცილებელია იმისთვის ხელოვნებაში სრული თანხმობა და სოლიდარობა. ამბობენ, მშვენიერება იგივე ჰარმონიააო. რამდენად მართალია თავის თავად ასეთი აზრი—ეს ესტეტიკოსების გამოსარკვევი საგანია, მაგრამ ის კი მაინც ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ, როცა რომელიმე ხელოვნური ნაწარმოები მთელი ერის გულს ატყვევებს, ეს იმას ჰნიშნავს, რომ ეს ერი კულტურულად გაერთიანებულ ორგანიზმს წარმოადგენს. აკაკის ორმოცდაათი წლის იუბილე, იმ მზადების მიხედვით, რომელსაც ეხლა ვხედავთ, უკვე საერო დღესასწაულად არის ქცეული. უეჭველია, ყველა შეგნებული ქართველი აფრთოვანებული დაჰხვდება შვიდ დეკემბერს და ნიჭიერ პოეტის სადიდებლად გამართული დღესასწაული ახალს ძალას და ენერგიას მისცემს ერს ქართულ კულტურის გასავითარებლად.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

რუსულ საეკლესიო გაზეთ „ცერკ. ვედომ.“-ში დაბეჭდილია წერილი ამ სათაურით: „ფიქრები საქართველოს ეკლესიის წარსულსა და აწმყო მდგომარეობაზე“. წერილი ეკუთვნის ტფ. სემინარიაში ინსპექტორად ნამყოფს ბერ-მონაზონს სერგის. ავტორი, რასაკვირველია, თქმა უნდა, წყალობის თვალით არ უყურებს საქართველოს ეკლესიას, საჭიროდ არა სცნობს ავტოკეფალიას და ავად იხსენიებს სამღვდელოებას. ავტორი თავს ესხმება განმათავისუფლებელ მოძრაობას და ექსარხოსის ნიკონის მკვლელობას. მისის სიტყვით ექსარხოსის ნიკონის მკვლელობა ჩამოსვლამდევე იყო გადაწყვეტილი, (ამიტომ მოხდა, რომ ექსარხოსს არავინ მიეგებაო). აი, როგორ აწერს ექზარხოსის ჩამოსვლას:

> ამ ცოცხლად მახსოვს მისი მეუფების მოსვლა ტფილისში. საქართველოს სამღვდელოებამ ადრევე პეტერბურგში გაუგზავნა მას მოთხოვნა, არ მოსულიყო საქართველოში, რადგან ჰხედავდა მასში არა კანონიერს მღვდელ-მთავარს არამედ უზურპატორს. მოსვლის წინ ქალაქში ხმა დადიოდა, განზრახულია მისი მოკვლაო. ბაქოს სადგურზე მისი მეუფება გააფრთხილა ადგილობრივმა ჟანდარმის პოლკოვნიკმა, რომელსაც ამ განზრახვის მესახებ აგენტებისაგან ცნობები ჰქონდა მიღებული. ეგზარხოსის მოსვლის დღე ტფილისი ხამხედროდ ბანაკად გადაიქცა. ყველა იმ ქუჩაზე, სადაც უნდა გაევლო მისს მეუფებას, ჯარი იდგა, აგრეთვე ყოველ სომხის ბაზარში, სახლებზე შეიარაღებული სალდათები იდგნენ, სადგურის მახლობლად გამართული იყო ბარიკადები, რომ გარეშენი არ გაეშვათ. სადგურის ოთახებში მხოლოდ შევიკრიბენით ჩვენ, რიცხვით მცირენი, რუსის სამღვდელოების წარმომადგენელნი და ოფიციალური პირნი. მოვიდა მატარებელი და დავინახეთ ფიდებული და ყვავილები სახე ჩვენის ახალ მწყემსმთავრისა. აქედან იგი ნამხედრების ყონვოით თანხლებით წავიდა სიონის ტაძარში. ტაძარში—კიდევ ჯარის-კაცნი, ოფიციალური პირნი, რამდენიმე ათეული რუსი მღვდელები და არც ერთი ქართველი.

ავტოკეფალიის შესახებ ავტორი ამბობს, რომ საქართველოს ეკლესიისთვის სრულიადაც არ არის საჭირო ავტოკეფალიაო. ამასთან, მისის აზრით, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ისტორიულ უფლებას, ესე იგი ჰქონდა თუ არა საქართველოს ეკლესიას წინად ავტოკეფალია—ეხლა სულ ერთია, მას იგი აღარ უნდა მიეცეს, რადგან ხალხი ვერ შეიგუებს და შეითვისებს ეკლესიურ თვით-მმართველობას. უპირველეს მნიშვნელობას ავტორი იმას აძლევს, რომ ავტოკეფალურ მოძრაობას ქართველები სარჩულად პოლიტიკას უდებენ, ეს კი საშიშია რუსეთის სახელმწიფოსათვისაო. ამას გარდა, ხალხმა სარწმუნოება დაჰკარგა და აღარც ავტოკეფალია უნდაო. ავტორი გვარწმუნებს, რომ იქ, სადაც ქართულად შემოიღეს ღვთისმსახურება, ხალხი არ დადიოდა ეკკლესიაში. ასე მოხდა ტფილისში სიონის ტაძარში და სოხუმშიო. დაცემულია, ავტორის აზრით, სამღვდელოებაც „ბევრი მღვდელი—გვარწმუნებს იგი,—თავის მრევლში, სოფლად, არ სცხოვრობს. იგი ქალაქში ამჯობინებს დროს ტარებას, სოფელი უწირავ-ულოცავად რჩება, მკვდრებს უმღვდლოდ ასაფლავებენ და ბავშვებსაც არა ნათლავენ“.

ავტოკეფალიის დროს, თურმე ნუ იტყვით, ქართველებს ჩხუბიც მოუვათ. „კახლები და იმერლები ეხლაც ცუდის თვალით უყურებენ ერთმანეთს“ და მაშინ რაღა იქნება.

ასეთ პირობებში ავტოკეფალია არაფერს მისცემს ქართველებსაო, დაასკვნის ავტორი. გამოდის, რომ ერთად-ერთი ხსნა იგივე ბიუროკრატიული წეს-წყობილებაა საეკლესიო საქმეში, ის წეს-წყობილება, რომლის ბატონობასაც შედეგად მოჰყვა, როგორც მოწმობს თვით ავტორი წერილისა ბერ-მონაზონი სერგეი, სარწმუნოების დაკარგვაც, სამღვდელოების დაცემაც და ბევრი სხვა რამაც...

## სახელმწიფო სათათბირო

**შეკითხვა ეპ. გერმოგენის შესახებ**

მე-19 სხდომაზე, 22 ნოემბერს, თავმჯდომარემ ხომიაკოვმა განაცხადა, რომ სათათბიროს 51 წევრისაგან წარმოდგენილია შეკითხვა მინისტრ-პრეზიდენტისადმი ეპისკოპოზის გერმოგენის არა-კანონიერ მოქმედებათა შესახებაო, რადგან შეკითხვის სიჩქარით გარჩევა არავის მოუთხოვია, იგი სათანადო კომისიას გადაეცა.

**კომისიის შევსება გლეხებით**

სათათბიროს წარედგინა 51 დეპუტატის წინადადება იმის შესახებ, რომ თვითმმართველობის კომისიას მიემატოს 6 კაცი (66 მაგიერ 72 იყოსო), რომელნიც საკუთრივ გლეხთაგან იქმნან არჩეულნიო. ამის გამო მცირე კამათი გაიმართა. **ლუკაშინი** აღნიშნავს, რომ რუსეთის 150 მილიონ მცხოვრებთაგან 100 მილიონი გლეხია, თვითმართველობის კომისიის 66 წევრიდან-კი მხოლოდ 7 გლეხიაო. ამიტომ გლეხნი თხოულობენ ექვსის კაცით შევსებას კომისიისას, რომელსაც მაშინ უფრო შეეძლება გლეხთა მდგომარეობის ყოველმხრივი გათვალისწინებაო. **შიდლოვსკი** ოქტომბრისტების მხრით აცხადებს, რომ მათი ფრაქცია წინააღმდეგი არაა წინადადებისა, მაგრამ მოსახერხებლად არ მიაჩნიათ დადგენილებაში აღინიშნოს, რომ ეს ექვსი ახალი წევრი უთუოდ გლეხთაგან უნდა იქმნან არჩეულ-

ნიო. მაშინ ყოველ ჯგუფს სათათბიროსას შეეძლება მოითხოვოს განსაკუთრებული წარმომადგენლობა კომისიებში. **დვორიანინოვი** იმ აზრისაა, რომ გლეხთაგან კომისიაში კიდევ 11 წარმომადგენელი უნდა იქნას არჩეულიო. **იურკევიჩი** თანახმაა წინადადებისა, მხოლოდ საჭიროდ სთვლის, რომ ექვსის გლეხის არჩევა თვით გლეხებს დაევალოს. **კრილოვი** შენიშნავს, რომ თვითმართველობის კომისია ვერ არის კარგად შედგენილი და ხელახალი არჩევნები მოხდეს მთელის კომისიისა. **სურკოვი** აცხადებს, ს.-დ. ჯარს უჭერენ წინადადებასაო. ბოლოს სათათბირომ ხმის უმეტესობით მიიღო ოქტომბრისტების წინადადება კომისიის შევსების შესახებ ექვსი კაცით უიმდამატებოდ, რომ ეს 6 კაცი უთუოდ გლეხები უნდა იქნენო.

### აგრარული საკითხი

ამ სხდომაზე სათათბირომ დაასრულა პირველი განხილვა 9 ნოემბრის კანონისა. სიტყვა მიეცათ იმ დეპუტატებს, რომელთაც წინანდელ სხდომებზე დაუსწრებლობის გამო თავისი რიგი გაუშვეს. ამათგან უმეტესმა ნაწილმა უარი განაცხადეს სიტყვაზე, დანარჩენთაგან შესამჩნევი რამ არავის არაფერი უთქვამს. უკანასკნელად ილაპარაკა მომხსენებელმა **შიდლოვსკიმ**, რომელმაც მოკლედ უპასუხა ოპოზიციის ორატორებს და გაიმეორა ოქტომბრისტების საბუთები კანონის სასარგებლოდ. დასასრულ სათათბირო კენჭის ყრას შეუდგა. წარმოდგენილ იქმნა 8 ფორმულა; ამათგან სამი ფორმულა—სოც.-დემოკრატებისა, ტრუდოვიკებისა და კადეტებისა სრულებით უარჰყოფენ 9 ნოემბრის კანონს, ოქტომბრისტების ფორმულა წინადადებას იძლევა, კანონის მუხლ-მუხლად განხილვას შეუდგეთო, დანარჩენი ოთხი ფორმულაც მუხლ-მუხლად გარჩევას თხოულობს, მაგრამ თან სხვა და სხვა სურვილებს გამოთქვამს. უმრავლესობამ მიიღო ოქტომბრისტების ფორმულა. ამ რიგად, მთავრობის აგრარული პროგრამა 3 ივნისის სათათბირომ ფორმალურადაც მოიწონა.

## აკაკის იუბილეი

**ქალაქის ქართველ სამღვდელოების საყურადღებოდ.** არ დარჩა ჩვენი სამშობლოს არც ერთი კუთხე, ჩვენი ერის არც ერთი წრე და ჯგუფი, რომ სურვილი არ განეცხადებინოს და გეგმა არა ჰქონდეს შედგენილი მხცოვან მგოსნის აკაკის ორმოცდა ათი წლის საიუბილეო დღესასწაულში მონაწილეობის მიღებისა. არა ისმის რა მომავალ დღესასწაულის შესახებ მხოლოდ ქალაქის ქართველ სამღვდელოებისაგან. იგი სდუმს, შვიდი დეკემბერი კი სადაა კარზე მოგვადგება!

ჩვენ არა ვჩივით ამის შესახებ სოფლის სამღვდელოებაზე, ვინაიდან დარწმუნებულნი ვართ და გაზეთებიდანაც ვტყობილობთ, რომ თვითოეულ სოფლის თუ პროვინციალურ დაბა-ქალაქის მღვდელი ამ დღესასწაულის გადახდისა დიდი მონაწილე იქნება. ქალაქის ქართველი სამღვდელოება კი, სამწუხაროდ, არაფერს არ ამბობს. არ ვიცით, აპირებს თუ არა ქალაქის ქართველი სამღვდელოებაც მონაწილეობა მიიღოს მომავალ დღესასწაულში და, თუ აპირებს, რა გზით, რა სახით? ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილებს მხოლოდ პარაკლისის გადახდა სიონის ტაძარში. ნეტავი ვიცოდეთ რას აკეთებენ ქალაქის ორი საბლაღოჩინო საბჭოები?

**ნართანი.**

—

**მოწაფეების მონაწილეობა იუბილეიში.**- გუშინ აკაკის იუბილეს კომიტეტის თავმჯდომარე გ. ყაზბეგი იყო სამოსწავლო ოლქის მზრუნველთან შესახებ იმისა, რომ სასწავლებლებმა მონაწილეობა მიიღონ აკაკის დღესასწაულში. მზრუნველმა სრული თანხმობა გამოაცხადა და უთხრა, რომ მოწაფეებს ყოველ სასწავლებლის მთავრობა თვითონ მისცემს ნებას მონაწილეობის მიღებისათვისო.

—

**ქუთაისი.** ქალთა კრებაზე 13 დეკემბერს იმ დეპუტაციაში, რომელიც ტფილისში უნდა წავიდეს აკაკის იუბილეიზე, აირჩიეს: კნ. ან. წერეთლისა, კნ. ან. ლორთქიფანიძისა; ქ-ნნი: მარ. ანჯაფარიძე, ევ. დადიანი და ფეიქაროვი. გარდა ამისა, ქალთა კრებამ გადასწყვიტა, ფული შეჰკრიბოს აკაკისთვის საჩუქარის სასყიდლად.

ნოქრებმა თავიანთ კრებაზე გადასწყვიტეს მათისა და მუშათა სახელით გაგზავნოს ერთი დელეგატი, რომლის დასახელება და ადრესის რედაქციის შედგენა მიენდო კომისიას. კომისიამ თავისი მოხსენება უნდა წარუდგინოს კრებას მომავალ კვირას.

—

**ლექცია.** ტფ. ადმინისტრაციამ, ნება დართო ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების გამგეობას გამართოს ქართულ ენაზე ლექცია ტფ. საარტისტო საზოგადოების სადგომში. ლექტორად მოწვეულია გ. რობაქიძე, რომელიც წაიკითხავს მგოსნის აკაკის მნიშვნელობის შესახებ ქართველთა კულტურულ ცხოვრებაში.

# აკაკი

(მისი 50 წლის დღესასწაულის გამო)

ძვირად თუ რომელსამე პოეტის სახელს ჰქონია ამგვარი მოშხიბლავი ძალა ხალხის გონებაში, რაც ამ სახელს აკაკი!.. აკაკი! ილია! აი ორი სახელი, რომელიც ნახევარ საუკუნის განმავლობაში ტკბილად ჰხიბლავდა და აამაღლებდა შემეცნებული ქართველის გულს.

ეს დაფასება და ეს პატივი, რაც ამ პატარა ქართველმა ერმა უჩინა ამ ორს თავის სათაყვანო მოღვაწეთ. ძვირად თუ უჩენიან უფრო ძლიერს და განვითარებულს ხალხს თავისი დიდებული მწერლებისა და მოღვაწეებისათვის.

ვინც შეესწრო და ჰნახა ის დიდებული სამგლოვიარო პროცესია, რომელიც უჩინა მთელმა საქართველომ წამებულს და დაუვიწყარს ილიას, ის უეჭველია დარწმუნდება მაზედ, რომ ქართველ ერს სცოდნია ფასი თავის მსახურთა და მოღვაწეთა.

მოჰკლეს ილია ქართველებთავე. მაგრამ იმავე ქართველობამ უჩვენა ქვეყანას, რომ მკვლელთა და ქართველთა შორის საერთო არა არის რა. რომ მკვლელნი ილიასი არიან ქართველთა აღმზრდელნი ძუძუს მომწყრელნი. და ქართველი ერი აძლევს შეჩვენებას და აკრავს სამარცხვინო ბოძზედ ილიას მწამებელთა სახელს!..

მოჰკლეს ილია! და განა ამ მოკვლით უფრო არ უკვდავ ჰყვეს მისი სახელი ქართველთა ხსოვნაში?.: განა ეს დიდების პატივი, რომელსაც უჩენს დღეს მთელი ქართველი ერი აკაკის, სხვათა შორის არ არის პროტესტი მათი ქცევისა, ვინც გაასვარა ხელი თავისი აღმზრდელი ძუძუს სისხლითა?.

მაგრამ ნუ გვმობთ მკვლელთაც: „მიუტევე მეუფეო, რამეთუ არ უციან რასა იქმნენ“.

ცხადია, არ ესმოდათ მკვლელთ, რას ჩადიოდნენ, და იქნება ეგონათ კიდეც, რომ ჩადიოდნენ დიდად სასახელო და ქვეყნის სასარგებლო საქმეს... არ ესმოდათ, რომ ამ მკვლელობით ჰკლავდნენ ქართველთა ეროვნების წინამძღვარს, ქართველთა თავმოსაწონებელს გონების ძალას, თორემ, რაც გინდა პირადი თუ პოლიტიკური შურისძიება სდებოდათ გულში ამ ქვეყნის სადიდებელ მოხუცთან, რომელსაც უამისოთაც ცალი ფეხი ედგა სამარეში, არ შეუმართავდნენ თავის მახვილს. და დღეს მათს გულში იქნება უფრო მეტი ცეცხლი ტრიალებს ამ საქმისთვის, ვიდრე სხვა ამ დიდებული გვამის მატირლებსა და ჭირის უფლებში... თუ ეს ასრე არ არის, მაშინ მკვლელნი ყოფილან ცოფნი, და არა ადამიანის გულითა და თავისებით, და ამგვართა კაცთა ხომ სრულიად არა ეკითხვით რა.

დიახ, ქართველობამ ერთი თავისი დიდება ჩაუშვა სამლავში უმაგალითო დიდებით და უკვდავ ჰყო მისი სახელი ქართველთა ხსოვნაში. ახლა აგვირგვინებს ცოცხალთავე უკვდავების გვირგვინით თავის მეორე საყვარელს მგოსანს აკაკის.

დიახ უნდა იყვეს საუკუნოდ დამკვიდრებულ ქართველთა ხსოვნაში სახელი ამ ორი დაუვიწყარი ქართველისა.

რა იყო ქართველობა, როდესაც ეს ორი ახალგაზრდა, კალმით მხატვარნი და სახით მართლაცა და კალმით დახატულნი, გამოვიდნენ სამწერლო ასპარეზზედ.

ქართველობა იყო ღრმა [illegible]. დამყარებული წესი იყო გადმერთებული ქართველთა გუნებაში. მეოცდაათე წლების ტრადიცია იყო ჩამქრალი ქართველთა საზოგადოებაში. ნიკოლოზ ბარათაშვილის შეუდარებელი ლექსების აზრები რჩებოდნენ ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა, და ის დასტიროდა „მარტოობას სულისას“ და ჰკრუნჩხავდა; რომ, ცუდად არ ჩაეგდოს მისი განწირული სულის კვეთება, გზა უვალი მაშინ თელილი შთამომავლობას მაინც დარჩება.

მართალია, მათს, აკაკისა და ილიას გამოსვლამდის ვორონცოვის შემწეობით და თაოსნობით გამოდის ქართულს ენაზედ ჟურნალი „ცისკარი“ გიორგი ერისთავის რედაქტორობით, მეარდება ქართული სცენა, რომლისაც თავს აყენებს ვორონცოვი „გაყრის“ და „შეშლილის“ ავტორს ამავე გიორგი ერისთავს, აყენებს ქართველთა ისტორიის მკვლევართ პლატონ იოსელიანს, რომელსაც აძლევს თავისთან კარგ ჯამაგირიანს ადგილსა და სხვა. მიდის ვორონცოვი და იფუშება ყველაფერი: იკეტება თეატრი, იკეტება „ცისკარი“. ჩერდება ისტორიის მკვლევარობა. თუმცა, ერთხელ მოყვანილი მოძრაობაში აზრი, კიდევ ჰფეთქავს. გადის მცირეოდენი ხანი და რამდენიმე ქართველის შემწეობით ცოცხლდება „ცისკარი“, სადაც იბეჭდება ჭონქაძის „სურამის ციხე“, რომელშიაც ის სასტიკად ჰკიცხავს ბატონ-ყმობის სამარცხვინო ძალას. იბეჭდება დავით გურამიშვილის დიდებული ლექსები, სავსე ფილოსოფიური მსჯელობით, ქვეყნის დაღუპვის მოთქმით, მრავალი ისტორიული ფაქტების ჩვენებით. იბეჭდება იონა ხელაშვილის „კალმასობა“, ძვირფასი ქართული წიგნი, რომელიც ცოცხალი პირებით და ცოცხალი საქმეების ჩვენებით ახასიათებს მეფე ირაკლის სიკვდილის შემდგომ ქართლ-კახეთის მდგომარეობას, რუსის ახალ შემოსვლის ხანაში, და სადაც პირველად გვითხულობთ რა პირობითაც გადაეცემოდა საქართველო რუსეთს. *) და სხვა, იბეჭდება ბარათაშვილის უკვდავი ლექსები, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანის სასიყვარულო ლექსები, მაგრამ საძაოს ძილიდან საზოგადოება ვერ ირყეოდა.

და აი, სწორედ ამ დროს გამოვიდნენ სამწერლო ასპარეზზედ ილია და აკაკი. და ამათ უტეხ აავეთქეს ახალგაზრდობათა ინტელიგენციის გული. თავისის მახვილის კალმით, გაუტეხარი გულით და თავის გმეტებით, რაც ხანი უფრო და უფრო გადიოდა, იკვეთდნენ მოზარდ და მოსწავლე ახალგაზრდობის გონებას და გულს. ამათ შეჰმართეს ხელი და მისცეს ცეცხლი იმ დამყარებულს ბორკილს, იმ წეს-წყობილებას, სადაც მძლავრობა, მტარვალობა, უთანასწორობა გაბატონებულიყო, სადაც ყოველს ცოცხალს აზრს, ცოცხალს გონებას, ყოველს სიცოცხლისადმი წარმზიდველობას ედო ბორკილი, ჰქონდა ხელი შეხუთული. და ეს ორი გმირულად მომქმედი ახალგაზრდა არა დრკებოდა არა მუქარასა, არა რისხვის წინ. და ეს მაგალითება უფრო ამხნევებდა მოზარდობას, უფრო ამაგრებდა და ამკვიდრებდა მათს გულს და გონებაში რწმენას, რომ მართალი საქმე [illegible] გაუტეხრობით [illegible] თავგანწირვით.

იწყო აზრმა მოძრაობა. ჩაქნათ უკუნეთის ბნელს ჩახშოვილს სანათურში, ახალგაზრდობამ თან და თან მოისვა თავზედ ხელი, წაეტანა სინათლეს, დაიწყო კვდევა გარემოებისა, რაზედაც იყო დამყარებული და დამკვიდრებული ბოროტება. ეს ახალგაზრდობა თან და თან მრავლდებოდა და ძლიერდებოდა. ამათ ჰნახეს, რომ ქვეყნის საქმეზედ დასაჯ ნებიად კალამს უთუოდ უნდა დაჰხმარებოდა სიტყვაც [illegible] თუ სიტყვის ძალას, შეუძლებს საქმეს. ხალხი მოვიდა გონს, გაიმართა წელში, და ბოლოს ხომ ჰნახეს, რომ პოეტის სიტყვა მართალი ყოფილა „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს“. ქართველობა გამოფხიზლდა, გამოერკვა ძილიდან და გაათბო ქვეყანა თავისი სულის ძლიერებით, თავგანწირულებით საქვეყნო საქმისათვის. დღეს ეს სიცოცხლის ჩენა თუნდა ათასი შეცდომილებითაც ყოფილიყო სავსე, დღე დროებით გზებაც მისცა ქვეყანას, დღე ამ მოძრაობამ თავი წამოაყოფინა ქვეყნის ნაძირალობას, რომელმაც გასვარა, მოუღო ბოლო ამ წმინდა საქვეყნო საქმეს; მაგრამ ამ საქმეს ვერავინ შეეცილება მას, რომ ეს იყო წმინდა საქმე, ამან დაანახვა ქვეყანას, რომ ეს ერი არა ყოფილა მკვდარი, მას ჰქონია ძალა არა მარტო თავის დაცვისა, არამედ შესძლებია მოძლევრობა უფრო ძლიერი ერებისაც მომავალის დასაცველად და საკაცობრიო საქმეების წარსამატებლად.

და ეს ორი სასიქადულო ქართველი—ილია—აკაკი—იყო ამ ორმოცდა ათი წლის განმავლობაში წინამძღვარი და მოძღვარი იმ ქართველობის გამოფხიზლებისა, რისაც მომსწრენი შევიქენით ჩვენ ამ ჩვენს დღეებში. დღე ზოგში ახალგაზრდობამ უსწრო ამათ წინ, მაგრამ თავი დროშა მაინც იყო ამ ორთს ხელთ და ამ დროშაზედ ეწერა: „აკაკი, ილია“. ამათი ძუძუნი იყო ეს ახალგაზრდობა აღზრდილი და ამათის დროშის ქვეშ ნაწრთვნილი.

დიახ! ქართველმა ერმა ჩაასვენა საფლავს უმაგალითო დიდებით ილია და მით უჩვენა ქვეყანას, რომ იცის ფასი თავისთა მსახურთა და მოღვაწეთა. დღეს დიდის დიდებით ემართავს დღესასწაულს თავის საყვარელს პოეტს აკაკის, რომლითაც ეს ერი კვალად დაამ-

*) სამწუხაროდ, ეს წიგნი დაუჩემებია იოანე ბატონიშვილს, როგორც დაუჩემებია პეტრე ლარაძის წიგნი, N რასაც უჩივის ლარაძე წიგნი ითხოვა წასაკითხავად და მერე დაიჩემაო, ამიტომ დასწერს, იძულებულ ვიყავი ხელმეორედ დაეწერა ეს წიგნიო.

# ფელეტონი

## ნაციონალური საკითხი

(„ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“, ნ. ჟ—სი).

II *)

ქართველობის ანტინაციონალურ მიმართულების მეორე დამამტკიცებელ საბუთად ნ. ჟ-იას ის მოჰყავს, რომ ქართველ ხალხს არ მიუღია მონაწილეობა არც ერთ ეროვნულ მოძრაობაშიო. „მას შემდეგ რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა, ნაციონალური მოძრაობა არა ერთხელ ყოფილა, მაგრამ ყოველთვის ეს იყო მოძრაობა ან თავად-აზნაურობის ან ინტელიგენციის, არასოდეს ხალხის“-ო. რთულ ისტორიულ საკითხის ასე გადაჭრით გადაწყვეტას დიდი ...გამბედაობა სჭირია და ეს თვისება არ აკლია ავტორს, მაგრამ მარტო გამბედაობა არაკმარა საკითხის გამოსარკვევად.

უეჭველი ფაქტია, რომ თავად-აზნაურობა დიდ როლს თამაშობდა მეცხრამეტე საუკუნის აჯანყებებში, მონაწილე იყო რუსთა წინააღმდეგ მიმართულ მოძრაობისა, მაგრამ ისიც ეჭვს გარეშეა, რომ უდიდესი როლი ყველა ამ აჯანყება-მოძრაობათა ჩაქრობაში იმავ თავად-აზნაურობას ეკუთვნოდა.

ვინ იყო ახალ მთავრობის მარჯვენა ხელი? ვინ იჭერდა ქართველ მამულის-შვილებს და ბატონიშვილებს? ვინ იყვნენ რუსის ჯარის გზის მაჩვენებელნი და ხშირად ხელმძღვანელნი? რაც დიდი თავადები და ფეოდალიები იყვნენ, სულ რუსის მთავრობის მომხრენი იყვნენ, მას ემსახურებოდნენ და შეუბრალებელის სისასტიკით სდევნიდნენ ყველას, ვინც კი ეროვნულ მოძრაობაში მონაწილეობას იღებდა. ჩვენი წარსული საზოგადოთ და ახლო წარსული ცალკე, სამწუხაროდ, ნაკლებად არის გამოკვლეული, მაგრამ რაც ვიცით, იგი მეტ საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ნამდვილ თავად-აზნაურული სწორედ რუსოფილური მიმართულება იყო. როცა ნ. ჟ—ია ამტკიცებს, საქართველოში ყველა ეროვნული მოძრაობა თავად-აზნაურული იყოო, იგი ისეთსავე ლოღიკას ადგია, როგორსაც ადგნენ ისინი, რომელნიც ამტკიცებდნენ ფედერალისტები თავად-აზნაურობის, ბატონობის მომხრენი არიან, რადგან ავტონომიას თავად-აზნაურებიც თხოულობენო. ნ. ჟ—იას აზრის სიყალბეს ყველაზე უკეთ მთიულეთის აჯანყება ამტკიცებს. ბრმა უნდა იყოს კაცი ან განზრახ უნდა იბრმავებდეს თვალს, რომ ვერ დაინახოს, რომ აქ თავად-აზნაურული არაფერი ყოფილა და ხალხური კი ყველაფერი. მთიულეთში თავადაზნაურობის ჭაჭანებაც არ იყო, იყო მხოლოდ ხალხი და სწორედ ამ ხალხმა ვერ აიტანა ახალი წესი და აჯანყდა.

იმის დასამტკიცებლად, რომ მეცხრამეტე საუკუნის ყველა ეროვნული მოძრაობა თავადაზნაურული იყო, სრულიად არ კმარა ის ფაქტი, რომ მოძრაობაში დიდ როლს თამაშობდა თავადაზნაურობა. აუცილებლად საჭიროა დამტკიცდეს, რომ ხალხი წინააღმდეგი იყო ამ „თავადაზნაურულ“ მოძრაობისა, რომ იგი ეხმარებოდა ახალ მთავრობას თავადაზნაურობასთან ბრძოლაში. როდის და სად შეებრძოლა ხალხი მთავრობის ვითომდა მტერ თავად-აზნაურობას. სად გამოიჩინა ხალხმა რუსის მთავრობის მომხრეობა? თავადაზნაურებისაგან დაჭერილი და გათოკილი მამულიშვილები კი ვიცით, მაგრამ ხალხი რომ დახმარებოდეს მთავრობას და პოლიციელის ან ჯალათის როლი გაეწიოს, როგორც ეს, მაგალითად, პოლონეთის აჯანყების დროს მოხდა, არც გაგვიგონია და არც არსად წაგვიკითხავს.

ან რატომ უნდა მიხმარებოდა ხალხი ახალ მთავრობას? ვთქვათ, როგორც ავტორი შემდეგ ამტკიცებს, რუსის მთავრობამ მართლა ფასდაუდებელი სარგებლობა მოუტანა ხალხს, მაგრამ ავანსით, რუსების ჩამოსვლისათანავე, ხომ ვერ გაჩნდებოდა და ვერ იფეთქებდა ხალხის სამადლობელი გრძნობა? თუ, ბელტოვისა არ იყოს, ხალხის ფსიხოლოგიამ წინად იგრძნო ეს მომავალი ბედნიერება და ამ წინადგრძნობის თანახმად შეიმუშავა თავისი მიმართულება?

ჩვენ კი გვგონია, რომ ხალხი პირველად ყოვლისა გაეცნო რუსის ნაძირალ-მოხელეებს და შორეულ და უცხო ქვეყანაში ყოფნით გაბოროტებულ ჯარისკაცებს. ვერც ერთნი და ვერც მეორენი მაინცა და მაინც დიდ სიმპატიას ვერ აღუძრავდნენ ხალხს და აჯანყებანიც უფრო ამ ნაძირალა მოხელეთა და გაბოროტებულ ჯარისკაცების მოქმედების შედეგი იყო. [illegible] რომ კითხულობ იმ საშინელ[illegible]ლებათა აწერილობას, რომელსაც ეს მოხელენი სჩადიოდნენ, გული გემღვრევა და ბოროტდები, და მაშ რა უნდა ეგრძნოთ მაშინდელ ქართველებს, ამ საშინელებათა ობიექტს? ვისაც გული და თავმოყვარეობა ჰქონდა, ვისაც თავისი ქვეყანა უყვარდა, ყველა იღებდა მონაწილეობას მოძრაობაში. რასაკვირველია, იყვნენ სხვა მონაწილენიც, სხვა მოტივებით ამოძრავებულნი, მაგალითად, ბატონიშვილები, მაგრამ პირველებიც რომ იყვნენ, ეს ეჭვს გარეშეა; იყვნენ სინიდისის გამყიდველნიც და არა ცოტანი; იყვნენ ისეთებიც, რომელთაც არა გაეგებოდათ რა ირგვლივ რა ხდებოდა; იყო დაბეჩავებული და შეშინებული ნაწილი ხალხისა, რომელსაც მშვიდობიან ცხოვრების მეტი არ უნდოდა რა და ამ მშვიდობიან ცხოვრებას მიიღებდა, ვისაც უნდა მიეცა. ყველაფერი იყო, მაგრამ იმის თქმა, რომ მთელი მოძრაობა წმინდა თავად-აზნაურული იყო, შეუძლია მხოლოდ იმას, ვინც სრულიად არ იცის ეს ეპოქა, ან იმას, ვინც რომელიმე აზრით არის გატაცებული და მოწადინებულია, რაც არ უნდა იყოს, ნიშანში ამოღებული ტეზისი დაამტკიცოს.

III

„ისტორიულ მოვლენის ახსნა უნდა ვეძიოთ ისტორიაშივე“-ო, გვასწავლის ავტორი და ისტორიულად არკვევს, რატომ ასე გულგრილად, უარყოფით ეკიდება ქართველი ხალხი ნაციონალურ საკითხს.

„თანამედროვე ნაცია ღვიძლი შვილია კაპიტალისტურ წარმოების და წარმოადგენს ნამდვილ თანამე[illegible] აღებმიცემობის... მას შემდეგ რაც ერთ თავს აღწევს ასეთ ყოფას (ფეოდალურს) და დგება სამოქალაქო განვითარების გზაზე, ის თან და თან ძლიერდება... და ხდება თანამედროვე კულტურულ ნაციად. **აი როცა ასეთი ერი ჰკარგავს თავისუფლებას და მას იმორჩილებს მასზე უფრო დაბალ კულტურის ერი, ეს მისთვის, ყველა მის ნაწილებისათვის დიდათ საგრძნობელი და სატკივარია.** აქ შესაძლებელია, ნაციონალურ დროშამ მთელი ერი შეაერთოს და გაბატონებულ უცხო ერს შეაბრძოლოს. ავიღოთ, მაგალითად, პოლონეთი. ჯერ კიდევ რუსეთთან შეერთებამდის მას ჰქონდა თავისი საკუთარი სამოქალაქო ცხოვრება, საკუთარი ვაჭრობა და აღებ-მიცემობა, ასე გასინჯეთ, მას ჰქონდა პოლიტიკური თავისუფლებაც კი. ერთის სიტყვით, აქ უკვე განვითარდა ნაციონალური კულტურა მთელი თავისი შედეგებით“ (გვ. 9). უფრო დაბალ კულტურის რუსეთმა დაიპყრო პოლონეთი და ამიტომ არ შეიძლებოდა იქ არ გაჩენილიყო ლტოლვილება სამშობლოს თავისუფლებისადმი.

ასეთი ახსნა მოუძებნა ნ. ჟ—იამ ისტორიულ მოვლენას ისტორიაში, ე. ი. თვალი გადაავლო ისტორიას, დაუკვირდა ისტორიის შესაფერ მომენტებსა და ხანებს და ყველგან ერთი და იგივე მოვლენა შენიშნა შესახებ ეროვნულ საკითხისა: მხოლოდ იმ ერში იბადება ეროვნული საკითხი, რომელიც კაპიტალისტურ წარმოების საშუალებით ძლიერია და წარმოადგენს ნამდვილ თანამედროვე კულტურულ ნაციას, და რომელიც დაუპყრია და დაუმორჩილებია განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე მდგომ ხალხს. გამოდის რომ მხოლოდ კაპიტალისტურ ერს აქვს სურვილი ეროვნულ განთავისუფლებისა და ისიც მხოლოდ მაშინ, თუ უფრო დაბალ კულტურის ერის ბატონობას განიცდის. აქაც ან სრულს უვიცობასთან გვაქვს საქმე ან ისეთ გატაცებასთან, რომელიც თვალსა და გონებას უბნელებს კაცს და მოჩვენებას სინამდვილედ აჩვენებს და სინამდვილეს მოჩვენებად.

რუსეთის პოლონეთი რომ მოჰყავს მაგალითად ავტორს, იქვე არ არის გერმანიისა და ავსტრიის პოლონეთი? გერმანელი ხომ რუსი არ არის, გერმანიაში კაპიტალისმიც შეუდარებლად მაღლა დგას და კულტურაც, პოზნანს რომ შევადაროთ, და ეს ნაკლებ „კაპიტალისტური“ და დაბალ კულტურის პოლონელი რად იბრძვის იქ ეროვნულ თავისუფლებისათვის? გალიციელი გლეხი (რუსინი) დიდ კულტურას ვერ დაიკვეხნის, კიდევ უფრო ნაკლები პრეტენზია აქვს კაპიტალისტურ წარმოებაზე, მაგრამ მაინც წელებზე ფეხს იდგამს და თავის ეროვნებას მხნედ უდგას დარაჯად. ინგლისი ხომ კაპიტალისმის სამშობლო ქვეყანაა, კულტურაც უმაღლეს ხარისხამდეა იქ განვითარებული და ამ ულტრა კაპიტალისტურ და უმაღლეს კულტურის ქვეყანას ებრძვის ეროვნულ თავისუფლებისათვის ინდოელი, რომელიც ინგლისელთან შედარებით ყოველმხრივ უკიდურეს უკან ჩამორჩენილია.

*) იხ. „დროება“ N 5.

ტკიცეს, რომ „ცოცხალია არ მომკვდარა“, და ეს ერი არის სიცოცხლით სავსე, აქვს ძალა შექმნას ბედნიერი მომავალი, თუ რამე უძლეველი ბორკილი არ შეუხუთავს ხელს, არ დაადებს მის გონებას წარმოშობილს და შემხუთველს ბორკილს.

გაუმარჯოს წელს სასიქადულო აკაკის და გაუმარჯოს ერს, რომელმაც იცის ფასი და პატივი თვისთა აღმზრდელთა და მოძღვართა საკეთილო საქმეში!

**ანტონ ფურცელაძე**

# ახალი ამბავი

## ტფილისი

**ახალი წიგნი**. რედაქციამ მიიღო ახალი სომხური წიგნაკი: „ოცდა ხუთი წლის თავი საყმაწვილო ჟურნალის „აღბიურისა“ (წყარო)“. წიგნაკი გადმოგვცემს, ოცდა ხუთი წლის განმავლობაში რა შრომა მიუძღვის ხსენებულ ჟურნალის რედაქტორ-გამომცემელს ტიგრან ნაზარიანს „აღბიურის“ გამოცემაში. წიგნი შედგენილია ნარ-დოსი, წინ უძღვის ექიმ ნავასარდიანის წინასიტყვაობა. ამ წლის დეკემბრის 23-ში აპირობენ იუბილეის გადახდას.

**ქალაქის საბჭო**. ტფ. საბჭოს ხმოსნები 24 ნოემბერს ჩვეულებრივ ხანტად შეიკრიბნენ, მაგრამ საბჭომ ამ საღამოს რამდენიმე საქმის განხილვა მაინც მოასწრო. საბჭომ მოისმინა გუბერნატორის მოწერილობა—ადმინისტრაციამ არ შეიწყნარა საბჭოს შუამდგომლობა ე. თოფჩიანის ხმოსნად დატოვების შესახებ. შემდეგ დაამტკიცა სამეურნეო კომისიის დადგენილება პურისა და ხორცის ნიხრის შეცვლის შესახებ. 1907 წელს ქალაქის მოქმედების ანგარიში საბჭომ გადასცა სარევიზიო კომისიას, რომელსაც გადაცემული აქვს 1904 და 1905 წლის ანგარიშების განხილვაც. საყურადღებო იყო გუბერნატორის მოწერილობა ვერის ხიდზე გადასახადის მოკრების შეწყვეტის შესახებ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტფ. სასამართლო პალატას გუბერნატორისათვის უცნობებია, ქალაქის თვითმართველობამ 1885 წლიდან მოყოლებული უკვე აინაზღაურა ის ფული, რომელიც დაიხარჯა ვერის ხიდის გაკეთებაზეო. ამ საკითხის შესახებ საბჭოს მოხსენება წარედგინა. მოხსენებაში გამგეობა ამბობს, რომ მართალია, ქალაქმა აიღო ის ფული, რაც ხიდის გაკეთებას დასჭირდა, მაგრამ აუღებელი დარჩა ნასესხებ ფულის სარგებელი, რაც 276,000 მანეთს უდრისო. გამგეობის აზრით, ვერის ხიდზე გადასახადის კრეფვა 10—11 წელიწადს კიდევ უნდა გაგრძელდეს. საბჭო დაეთანხმა გამგეობის დადგენილებას. საბჭომ შემდეგ დაამტკიცა ვერის ხიდის იჯარით გაცემის შედეგი. ხიდი დარჩა სვანიშვილს 26,000 მანეთში. ხანგრძლივი კამათი გამოიწვია მოხსენებამ პოლიციის მეათე ნაწილში მედროგეების სადგომის მოწყობის შესახებ. გამგეობის აზრით, ამისთვის პირველად საჭიროა 4574 მანეთი, შემდეგაც დასჭირდება ფული, ამიტომ გადასახადი უნდა დაწესდეს დროგებსა და ტაჭკებზეო. საბჭომ დაადგინა 1—2 ცხენიან დროგის პატრონს ქალაქის ბაკში დგომისთვის დღეში გადახდეს 5 კაპ, ხოლო 2—4 ცხენიან დროგისთვის პატრონს—10 კაპ. ამავე სხდომაზე საბჭო შეუდგა 1909 წლის აღრიცხვის განხილვას.

**თეატრის შენობა**. ქართულ თეატრის შემოწმება საგუბერნიო ტეხნიკოსების მიერ გადაიდო 27 ნოემბრისათვის, რადგან ზოგიერთ სამუშაოს დამთავრება ვერ მოასწრეს. თეატრი, აღნიშნულ მიზეზისა გამო, 4—5 დეკემბერზე ადრე არ გაიხსნება.

**„ნოვოროსიისკის რესპუბლიკა“**. 24 ნოემბერს ნოვოროსიისკში დაუწყიათ განხილვა ეგრედ წოდებულ „ნოვოროსიისკის რესპუბლიკის“ საქმისა. ბრალდებაში მიცემულია 106 კაცი. მოწმედ დაბარებულია სამასამდე კაცი. ბრალდებულთ იცავენ პეტერბურგელი ვექილები კარაბჩევსკი, სოკოლოვი, ტარუტინი და სხვანი.

**ეტნოგრაფიული კონცერტი**. ქართულ საისტორიო და საეტნოგრაფიო საზოგადოებას აზრადა აქვს თურმე მომავალ დიდმარხვაში გამართოს კავკ. ეტნოგრაფიული კონცერტები. პირველ კონცერტში შეასრულებენ ქართულ სიმღერებს, შემდეგ კონცერტებში—სხვა ერთა სიმღერებს.

**სასულიერო სასწავლებლების რეორგანიზაცია**. ამ ჟამად საქართველოს საეგზარხოსო სასულიერო სასწავლებლებში რევიზიაა. რევიზორი გამოგზავნილია პეტერბურგიდან, სინოდისაგან. როგორც გავიგეთ, რევიზიას, სხვათა შორის, კავშირი აქვს უმაღლეს სასულიერო მთავრობის მიერ წამოყენებულ საკითხთან, სასულიერო სასწავლებლებში სწავლის საქმის რეორგანიზაციასთან.

**გვთხოვენ დავბეჭდოთ**: „4 ნოემბერს ს. მცხეთაში დაიკარგა შაბლოვსკის აკარაკის ყარაული გიორგი ზ. ფრუიძე და მას შემდეგ აღარა სჩანს. ნიშნები: შუათანა ტანისა, ქერა წვერულვაშიანი, ტანზედ აცვია წითელი ჩოხა, შავი ახალუხი და წაღები. მნახველებს ვთხოვთ გვაცნობონ ქ. თბილისში, კოზლოვსკის სტამბაში, ვანო ფრუიძესთან“.

**„გურიის რესპუბლიკის“** საქმის გამო ქასუხის გებაში იყო მიცემული აგრეთვე მეცამეტე კაცი ივანე გოგიტაძე, რომელიც აქამდე იმალებოდა. გოგიტაძე ადმინისტრაციას უკვე დაუპატიმრებია. მის შესახებ საქმეს ახლო მომავალში განიხილავენ.

24 ნოემბერს პოლიციელებმა დააპატიმრეს ეგზარხოსის მოედანზე იოსებ აბრამოვი და მაკარ ზუბრიევი, რომელთაც ნაქურდალი მოჰქონდათ.

ვაჭარმა ფაიველ რუდონკევიჩმა პოლიციას გამოუცხადა რომ ჩემ მაღაზიიდან 24 ნოემბერს ქურდებმა გაიტანეს 1047 მანეთის საქონელიო.

## ქუთაისი

**მთავრობის მამასახლისი**. ზუგდიდის მაზრის აბასთუმნის სოფლის საზოგადოებაში ამას წინად მოუკლავთ გლეხი ბერაშვილი და განუზრახავთ აზნაურის კ. გვათუას მოკვლა. ამის გამო, ქუთ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით, სოფელში დაუნიშნიათ მთავრობის მამასახლისი მელიტონ მესხია და ოთხი სტრაჟნიკი. მამასახლისს მიეცემა თვეში ხუთი თუმანი, ხოლო სტრაჟნიკებს ოცდა ხუთ-ხუთი მანეთი. ეს ფული სოფლის საზოგადოებამ უნდა გადაიხადოს.

**ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელი**. ამ დღეებში სინოდის რევიზორს დაუთვალიერებია ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელი. სასწავლებლის შენობა იმდენად ძველი გამომდგარა, რომ იქ სწავლის გაგრძელება, შენობის შეკეთებამდე, შეუძლებლად უცვნია რევიზორს. ამის გამო გურია-სამეგრელოს სამღვდელოების წარმომადგენლებმა შუამდგომლობა აღსძრეს, სესხად მიეცეთ ფული შენობის შესაკეთებლად.

# წერილები

**სოფ. კონტუათი** (ქუთ. გუბ.) ამას წინად ს. კონტუათის საზოგადოებამ თავი მოიყარა და დაადგინა გახსნას სამკითხველო. ნებართვის ასაღებად მიმართეს წერა-კითხვის საზოგადოებას. საზოგადოებამაც სთხოვა მეტყობინოს, ვინ იქნება პასუხის მგებელი. ამ სოფელში სამკითხველოს გახსნის სურვილი იმის მომასწავებელია, რომ გლეხკაცობაშიაც იბადება წყურვილი თვითგანვითარებისა.

**ალგიგ.**

---

**ხონი.** 16 გიორგობისთვეს მოხდა კრება ხონელ ინტელიგენციისა. უამინდობის გამო კრებას ცოტანი დაესწრნენ. პირველად შ. მიქელაძემ მოახსენა კრებას ხონში წერა-კითხვის საზოგადოების განყოფილების დაარსების საჭიროება. შემდეგ ილაპარაკეს სხვებმა იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს დღეს სწავლა-განათლების გავრცელებას ხალხში. სხვათა შორის ბ-ნმა პიპინაძემ სთქვა ასეთ განყოფილების საჭიროებას წინადაც ვგრძნობდით, მაგრამ მაშინ ნებას არა გვრთავდნენო. ბოლოს ჩაეწერეს საზოგადოების წევრად 24 კაცი. ყველამ განაცხადა სურვილი წევრობისა, რამდენმამე საწევრო ფული იქვე გადიხადა. საქმის მოგვარება მიანდეს მ. პკლიძეს, ემელიანე ცაგარეიშვილს და შალვა მიქელაძეს. თუ ესენი ხეირიანათ მოიქცევიან, ხონში 50—60 წევრამდე იშოვნიან და დაარსდება კიდეც განყოფილება.

**ალგიგ.**

---

**ოკრიბა.** ვისაც ცოტათი აინტერესებს ოკრიბის ბედიღბალი, მას უეჭველად ეცოდინება, რა დაქვეითებულია განათლებით ეს კუთხე. არც ერთი კულტურული დაწესებულება აქ არ არსებობს, თუ არ ვიანგარიშებთ ორიოდე უხეირო სკოლას, რომელნიც უმწეო მდგომარეობაში არიან. არის რამდენიმე სოფელი, სადაც იშვიათად შეხვდები გლეხს, ხელის მოწერის მცოდნეს. სკოლა თვალითაც არ უნახავთ. ჩვენს მოხუც მგოსანზე, რომლის იუბილეისთვის ასე ემზადება შეგნებული ქართველობა, აქათ წარმოდგენაც არა აქვთ. სხვა არა იყოს რა, სირცხვილია აქაურ ინტელიგენტებისთვის ასე მიტოვება თანამოძმეობისა. ვინც ისწავლა და გაიგო ცოტა რამ, ის მიდის თავისთვის და აქ აღარ ბრუნდება. გლეხი-კი მიჩვეებია მარტო ადამის დროინდელ კავუდელს. მეტად კარგი და დროის შესაფერი იქნება, რომ საყვარელ მგოსანი აკაკი ოკრიბელ გლეხსაც გავაცნოთ. ეს გაცნობა გამოვხატოთ შემდეგში: დავაარსოთ შუა ადგილას, მაგალითად ხრესილში, პატარა წიგნთსაცავ-სამკითხველო და საზაფხულო სკოლა მგოსნის სახელობაზე. ეს არც ისე ძნელი იქნება, როგორც პირველად გვეჩვენება. დარწმუნებულნი ვართ, არც ერთი გლეხი არ დაიშურებს ადგილს სკოლისთვის სადგურის მახლობლად. ჩვენ მხოლოდ უბრალო ხის შენობის აგება დაგვჭირდება, ამისთვის კი შეგვიძლიან გადავდოთ მცირედი ნაწილი საკუთარ ჯიბიდან წლიურად ან ერთ დროულად, რაც არავისთვის საგრძნობელი დასაკლისი არ იქნება, საქმეს კი ფეხზე დააყენებს. ცოტა წვლილი, საერთო ჯამში შეტანილი, ბევრი იქნება. პირველ ხანად მასწავლებელისთვის ფული არ იქნება საჭირო, რადგან არავისთვის გასაჭირს არ შეადგენს სამი თვე გავინაწილოთ და უსასყიდლოდ ვასწავლოთ ბავშებს; დარწმუნებული ვართ ამაზე არც ერთი ოკრიბელი განათლებული ახალ გაზდა უარს არ იტყვის. წიგნთ-საცავსაც სკოლაშივე მოვაწყობთ. არც ეს დაჯდება ძვირად, რადგან ისეთი წიგნები, რაც ჩვენთვის საჭირო იქნება, ყოველ ჩვენგანს ექნება და შემოვწირავთ. ამ თავითვე მე შევწირავ ყველა ნაწერებს ილ., აკაკისას, ყაზბეგისას, რამდენიმეს გ. წერეთლისას და სხვას; აგრეთვე ჟურ. „ნაკადულს“ მომავალ წლისას.

იმედი მაქვს, ჩემი მოწოდება არ დარჩება „ხმად მღაღადებლად უდაბნოსა შინა“.

**ცაცა დარახველიძე.**

# პატარა ფელეტონი

## მეთევზე პოლიტიკოსები

დღეს თავად-აზნაურობის სრული გავლენის ხანაა ჩვენს ქვეყანაში. ამის ალღო დროზე აიღო ჩვენმა სასიქადულო გაზეთმა „ზაკავკ. ობოზრ.“-მ და ქვეყანას სტყორცნა ახალი „ლოზუნგი“: „გაუმარჯოს თავისუფლებას... თავად-აზნაურობის გავლენის საზღვრებშიო“.

ჩვენც კვერი დავკრათ გაზეთის საუცხოო თაოსნობას და შემდეგ ვეცადოთ მას გულ-დვიძლი გაუსინჯოთ.

როცა დიკკენსის სახელგანთქმული გმირი პიკვიკი თავის მეგობრებით ქალაქ იტანსვილს ეწვია, სადაც საარჩევნო ბრძოლა იყო გაჩაღებული, იმისი მეგობრები ერთობ უხერხულ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ. არ იცოდნენ, რომელ მიმართულებას, რომელ პარტიას მიმხრობოდნენ, რადგან საქმეში ჩახედულნი არ იყვნენ. ამ გასაჭირში მიმართეს თავიანთ მეთაურს, გონება გამჭრიახ პიკვიკს, რომელმაც მათ შემდეგი ურჩია: „თვალ-ყური ადევნეთ ქუჩაში ხალხს და სადაც უფრო ხშირი და მაგრად მყვირალი ბრბო დაინახოთ, იმას მიემხრეთ და ამნაირად თქვენ გვერდებსა და მშვიდობიანობას უზრუნველჰყოფთ“-ო.

ამ მხრივ „ზაკ. ობოზრ.“-ც პიკვიკისებურ გამჭრიახობას იჩენს. თავად-აზნაურობა დღეს-დღეისეულობით მძლავრ ბრბოს ემხრობა, რათა თავისი გვერდები და მშვიდობიანობა უზრუნველჰყოს.

ხოლო, ჩვენ შორის რომ ვსთქვათ, ერთობ კუდ-მოკლე გამჭრიახობაა პიკვიკებისა და „ზაკავ. ობ“-ების გამჭრიახობა. რას წარმოადგენს ამ წუთი-სოფელში თავადი ან აზნაური, როგორც წოდების კაცი? ისეთ ადამიანს, რომელიც, უპირველეს ყოვლისა თავის წოდების სარგებლობას იცავს. თუ იგი ზოგჯერ დემოკრატობას იჩენს და ხალხის სასარგებლო მცირე რეფორმებს ემხრობა, ყველა ამას მხოლოდ იმიტომ სჩადის, რათა ხალხს თავი იმის ქომაგად აჩვენოს. ამ წოდებამ კარგად იცის შემდეგი მცნება: თუ თავის კერძო ანგარებას სავსებით გამომჟღავნებს, დიდ-ხანს ვერ იბოგინებს ამ წუთი-სოფელში. რადგან ხალხი იმ წამში მიჰხვდება, ვისთანა აქვს საქმე და მალე ჩამოეცლება. თავად-აზნაურობაც, როგორც წოდება, სწორედ იმ მეთევზესავით იქცევა, რომელიც მშრალ ანკესს თავის დღეში არ ჩააგდებს წყალში, რადგან კარგად იცის, რომ ამგვარად თევზს ვერ მოატყუებს. ანკესზე უეჭველად თევზისათვის სასურველ მცირე რამ საკვებს ჩამოაცმევს, რათა თევზს ცოტა რამ აჭამოს და შემდეგ იგი სავსებით შესჭამოს.

თავად-აზნაურობა, როგორც წოდება, იმ ანკესს, რომელსაც იგი ხალხში აგდებს, ყოველთვის მცირე რეფორმების დაპირებას ჩამოაცმევს ხოლმე, რათა ხალხს ცოტა რამ აჭამოს და თავისი საქმე გააკეთოს.

დღეს ჩვენ სასიქადულო გაზეთს „ზაკავკ. ობ.“-ს სწორედ ამგვარი მეთევზე გამოჰყავს სცენაზე და ლამაზად გვეპატიჟება, ამას მიენდეთ, ამის იქით თქვენთვის სხვა გზა არა სჩანსო.

მხოლოდ ერთი რამ ავიწყდება ჩვენ ღირსეულ ორგანოს: „ის გარემოება, რომ ამ ბოლო წლების განმავლობაში ხალხის ტყუილებით კვება მოსწყინდა და დღეს ვერავის ვერ მოატყუებთ შემდეგ ლოზუნგით: „მოდით, ამ ანკესს პირი წაავლეთ, ზედ თქვენთვისაც ცოტა რამ სახრავია ჩამოცმული“. **ი. ნაკაშიძე.**

# სპარსეთის ამბები

### სათარ-ხანის ბრწყინვალე გამარჯვება

რევოლიუციონერების სარდალს ნიჭიერ სათარ-ხანს როგორც ვიცით, ძალზე დაუმარცხებია შაჰის სარდალი ეინუდ-დოვლე. საქმე ასე ყოფილა. 20 ნოემბერს რევოლიუციონერების რამდენიმე რაზმი უკანიდან, ზურგიდან მოექცა ეინუდ-დოვლეს, გზები მოუჭრა და ბოლოს იერიშით მივიდა. ეინუდ-დოვლე იძულებული იყო შებრძოლებოდა სათარ-ხანს. ეინუდ-დოვლეს მსწრაფლმსროლელი ბატარეია მშვენივრად მოქმედებდა თურმე. რევოლიუციონერებიც შეუდრეკლად მოქმედებდნენ, მაგრამ მაინც უკან ვერ დაახევინეს წინ წამოწეულ შაჰის ყაზახებსა და ქვეითა ჯარს. ბრძოლამ დიდ ხანს გასტანა. რევოლიუციონერებს განუწყვეტლივ მოსდიოდა მაშველი რაზმები. ბოლოს სათარ-ხანმა მედგარი იერიში მიიტანა რეაქციონერებზე,—შაჰის ჯარი შეშინდა და ბევრი ყაზახი და ჯარისკაცი სათარ-ხანის მხარეს გადავიდა. დანარჩენი ჯარიც იძულებული ყოფილა დამორჩილებოდა სათარ-ხანს. გამარჯვებულ რევოლიუციონერებს ხელში ჩაუგდიათ ეინუდ-დოვლეს მთელი ბანაკი არტილერიით, ქარავნით, თოფებით, ბარგი-ბარხანით, სამხედრო მასალით და ყველა მოწყობილობით.

21 ნოემბერს დილით შაჰს დეპეშა მიეღო ეინუდ-დოვლესგან: არ შემიძლიან წინააღმდეგობა გავუწიო რევოლიუციონერებს, რადგან მეტად დიდი ზარალი მოუვიდა ჩემს ჯარს; გთხოვთ ჯარი მომაშველოთ, თორემ იძულებული ვიქნები სათარ-ხანს დავმორჩილდეო.

მეორე დილას თეირანში უკვე მიეღოთ ცნობა, რომ ეინუდ-დოვლეს მთელი რაზმი დამორჩილდა სათარ-ხანს და რეაქციონერების მთელი ბანაკი არტილერიით და სხვა იარაღით რევოლიუციონერებმა ჩაიგდეს ხელშიო.

ამას წინად შაჰს გამოეცხადებინა, 30,000 მანეთს მივცემ, ვინც მოკლულ სათარ-ხანის თავს ჩამაბარებსო. ვნახოთ, ეხლა რაღას იზამს ირანის მბრძანებელი და როგორ დააფასებს რევოლიუციონერების სარდლის თავს.

ტფილისში კერძო ცნობები მოსულა, ვითომ ამ ბრძოლაში მონაწილეობა მიუღიათ ახალგაზდა ოსმალთა აფიცრებს და ჯარის კაცებსო; სათარ-ხანი ოსმალელ აფიცრების პლანით მოქმედებდაო.

### სათარ-ხანის განცხადება

სათარ-ხანს თავისი რწმუნებული გაუგზავნია რუსულ გაზ. „რუსკ. სლოვო“-ს თავრიზელ კორესპონდენტისთვის პროტესტის გამოსაცხადებლად იმ ტყუილ ცნობების წინააღმდეგ, რომელსაც აქვეყნებდა გაზეთები სპარსელ რევოლიუციონერების შესახებ. სათარ-ხანი ამტკიცებს, რომ ყველა ეს ცნობა ცრუ და ტენდენციოზურია. სპარსელ რევოლიუციონერების მტრობა რუსებისადმი—ნამდვილი ჭორია. სათარ-ხანი ყოველთვის ცდილობდა რუსებისა და სხვა უცხოელების დაცვას რეაქციონერების ძარცვა-გლეჯისა და დაცემისაგან. მძარცველები განზრახ ირქმევენ კონსტიტუციონალისტების და რევოლიუციონერების სახელსაო. ეხლა სათარ-ხანმა სასტიკი ღონის ძიება მიიღო და ჯულფისა და სხვა გზები გასწმინდა ყაჩაღებისაგან, ასე რომ რუსის ვაჭრები თავისუფლად და უშიშრად შემოიტანენ თავიანთ საქონელს თავრიზში და საზოგადოთ ადერბეიჯანში. სათარ-ხანს იმედი აქვს, რომ რუსის საზოგადოება და მოღვაწეები სამართლიანად დააფასებენ სპარსეთში მომხდარ ამბებს, ნამეტნავად ბრძოლას ხალხის დამჩაგვრელთა წინააღმდეგ და ზნეობრივ დახმარებას აღმოუჩენენ სპარსელ კონსტიტუციონალისტებს.

### სპარსელ კონსტიტუციონალისტების თხოვნა.

სპარსელმა კონსტიტუციონალისტებმა თავრიზსა და თეირანში მოლაპარაკების შემდეგ ამოირჩიეს 12 კაცი მუშტეიდ სეიდ-ეზდის მეთაურობით და დაავალეს მათ: მიმართეთ რუსის პრესასა და უმთავრეს მოღვაწეებს სახელმწიფო სათათბიროსას თხოვნით, რომ ზნეობრივი დახმარება გაუწიონ ხალხს, რომელიც ებრძვის თავის დამჩაგვრელებსა და მტარვალებს. კონსტიტუციონალისტები ამავე თხოვნით მიმართვენ აგრეთვე ოპოზიციონურ პარტიების ლიდერებსაც. კონსტიტუციონალისტები დაწვრილებით განმარტავენ სპარსეთის ეხლანდელ მდგომარეობას და ბოლოს აცხადებენ, რომ ისინი იბრძვიან ძველის რეჟიმის წინააღმდეგ და არა რუსებისა და სხვა უცხო ერების წინააღმდეგო.

### შაჰი გაქცევას აპირებს.

რუსულ გაზეთებში კიდევ დაიბეჭდა ცნობა, რომ შაჰი ძლიერ დაფიქრებულია და სპარსეთიდან გაქცევას აპირებსო. ამ აზრით მამული იყიდა მამედ-ალი-შაჰმა რუსეთშიო.

### რევოლიუციის გაძლიერება.

„ტაიმს“-ის თეირანელი კორესპონდენტი იუწყება: ადერბეიჯანსა და მეშხედში სერიოზული მდგომარეობაა. ბაზრები ყველგან დახურულია. ხალხი საქმეს უპირებს გუბერნატორებს მოთხოვნით, რომ შაჰმა კონსტიტუცია აღადგინოს დაუყოვნებლივ.

# ოსმალეთი

### არჩევნები

„პეტ. სააგენტო“ იუწყება 23 ნოემბრის თარიღით: დღემდე არჩეულია 220 დეპუტატი; მათ შორის 150 მუსულმანი, 33 ქრისტიანი და 2 ებრაელი.

„რუსკ. სლოვო“-ს სტამბოლელი კორესპონდენტი სწერს: 19 ნოემბერს დიდის ამბით გადაიტანეს ექვსი საარჩევნო ურნა საარჩევნო ნაწილებიდან ქალაქის გამგეობაში. პროცესია, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა 5,000-ზე მეტი სული, ჯერ უმაღლესი მთავრობის სადგომისკენ გაემართა, და მერე აქედან დაბრუნდა ქალაქის გამგეობისკენ. პროცესიაში მონაწილეობას იღებდნენ იმპერატორის გვარეულობის პრინცები, კომიტეტის წევრები, სამღვდელოება, მოხელეები და აფიცრები. მანიფესტანტები მღეროდნენ ეროვნულ ჰიმნსა, წინ მიუძღოდათ სამხედრო მუსიკა. ყოველი ურნა მიჰქონდა თითო აქლემს. აქლემებს მისდევდა 6 ყვავილებით შემკული ეტლი, რომლებშიაც ისხდნენ მორთული პატარა ქალები, ამათი ტანისამოსი გამოხატავდა თავისუფლებას, ძმობას და თანასწორობას. პროცესია გაჩერდა სამხედრო და შინაგან საქმეთა სამინისტროების წინ, წარმოსთქვეს სიტყვები. ისროდნენ ყვა-

---

ამისთანადა მზგავსი მაგალითი უამრავია წარსულსა და აწმყოში, მაგრამ რაც მოვიყვანეთ, ისიც საკმარისია ავტორის აზრის სრულს სიყალბის დასამტკიცებლად.

თვითონ მისი მაგალითი პოლონეთ რუსეთის ურთიერთობისა ამ აზრის წინააღმდეგ ლაპარაკობს. მეთვრამეტე საუკუნის პოლონეთი, ყველაფერი იყო, მაგრამ კაპიტალისტურ წარმოების ქვეყანა კი არა. მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს პოლონეთი პოლიტიკურად და სოციალურად ნამდვილი მაგნატების (დიდ ფეოდალების) სამეფო იყო. აი, რასა ვკითხულობთ ნამდვილს ისტორიაში პოლონეთის შესახებ:

„პოლონეთის არისტოკრატიას სრულიათ არ ეშინოდა საშუალო წოდების მეტოქეობისა, იმ საშუალო წოდების, რომელიც ეგრე ამაღლდა ინგლისში და რომელმაც საფრანგეთში ძირს დასცა თავადაზნაურობა. პოლონეთში არ იყო დამოუკიდებელი ბურჟუაზია; ქალაქებში მოსახლეობდნენ უცხოელნი, გერმანელები და ებრაელები; ამათ თავადაზნაურობა ზიზღით უცქეროდა და თავიანთ სეიმებში მათ არ უშვებდა. არისტოკრატია რიხიანსა და მოუსვენარ ცხოვრებას ატარებდა; ქეიფობდნენ, ნადირობდნენ, ერთმანეთს თავს ესხმოდნენ; უყვარდათ იარაღი და ცხენი, მაგრამ სამეფოს სამხედრო დაცვა არაფრად ვარგოდა: არ იყო სამხედრო ბიუჯეტი, მოხალისენი, რომელნიც საჭიროების დროს შეიკრიბებოდნენ, მამაცები იყვნენ, მაგრამ დისციპლინას არ ემორჩილებოდნენ... პოლონური პოლიტიკური პარტიები უცხოელებს იწვევდნენ დახმარებისათვის“.

აი, ასეთია ნამდვილი ისტორია და არა ისეთი, როგორსაც გვაწვდის ნ. ჟ-ია.

პოლონეთი იბრძოდა ეროვნულ თავისუფლებისათვის კულტურით დაბალ რუსეთშიც და კულტურით მაღალ გერმანიაშიაც, იბრძოდა, თუმცა კაპიტალისტური ქვეყანა სრულიადაც არ ყოფილა; იბრძვის დღესაც, როცა კაპიტალიზმი უკვე კარგად განვითარებულია, თუმცა არა ყველა ნაწილში; იბრძოდა და იბრძვის იმიტომ, რომ ეროვნული თავისუფლება აუცილებელი პირობაა ერის, ხალხის ნორმალურ და სწორ განვითარებისათვის და არა იმიტომ, რომ კაპიტალისტური ქვეყანა იყო და არის. კულტურის ამა თუ იმ საფეხურს, ამა თუ იმ ეკონომიურ მდგომარეობას აქ იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც იგი უადვილებს თუ უძნელებს ხალხის ბრძოლას ეროვნულ თავისუფლებისათვის.

არ არის დედამიწის ზურგზე დაჩაგრული ერი, რომ დაჩაგვრისაგან განთავისუფლება არ უნდოდეს. ეროვნულ თავისუფლებისათვის იბრძვის სამხრეთ-აფრიკელი ბური, სირიელი არაბი, ფინლანდიელი, ინდოელი, ირლანდიელი, მაკედონელი, ეგვიპტელი და მრავალი სხვა ხალხი, თუმცა კულტურა და ეკონომიური მდგომარეობა სხვა და სხვა აქვთ, თუმცა სხვა და სხვაა ამათ მჩაგვრელების კულტურულ-ეკონომიური მდგომარეობა. პოეტისა არ იყოს, ეროვნული თავისუფლება „ხალხთა ნავთ-საყუდელია“ და ამიტომაც არის, რომ ქვეყანა მას ესწრაფვის.

(დასასრული იქნება)

ვილებს, კონფეტის. ზოგიერთნი ტიროდნენ სიხარულისაგან. ძნელად წარმოიდგენს კაცი ამაზე დიდებულ და სასიამოვნო სანახავს. ხალხი ყველგან სიხარულითა და აღტაცებით ეგებებოდა პროცესიას.

**ტყუილი ცნობა**

„პეტ. დეპ. სააგენტოს" ცნობა კიამილ-ფაშას გადადგომისა და ჰასან-ფემი-ფაშას დიდ ვეზირად დანიშნის შესახებ ტყუილი გამოდგა. ჯერაც ისევ კიამილ-ფაშაა პირველ მინისტრად. გაზეთების ცნობიდან არა სჩანს, რა თანამდებობა უჭირავს ამ ჟამად ჰასან ფემი-ფაშას. შინაგან საქმეთა მინისტრად-კი, ეტყობა, ნამდვილად მაკედონიის გენერალ-ინსპექტორი ცნობილი ხილმი-ფაშა დაუნიშნავთ და, როგორც გაზეთები იუწყებიან, კიამილ-ფაშა მალე გადადგება თავის თანამდებობიდან და მის ნაცვლად ხილმი-ფაშა დაინიშნება პირველ მინისტრადაო.

**მოკლული გენერალი**

ამ დღეებში სტამბოლში მოკლული იზმაილ-მაჰირ-ფაშა ყოფილა სულთნის ამალის გენერალი. მიზეზი მკვლელობისა ჯერაც ვერ გაუგიათ.

**დეპუტატების მოთხოვნა**

სტამბოლში შეკრებილი დეპუტატები გამოსთქვამენ სურვილს, რომ სულთანმა თითონ გახსნას ოსმალეთის პირველი პარლამენტი დოლმაბაღჩეს სასახლეშიო. დეპუტატები თხოულობენ აგრეთვე, რომ ეს სასახლე სამუდამოთ დაუთმოს პარლამენტს სხდომებისთვის. ამბობენ, თუ სულთანი თითონ გახსნის პარლამენტს, მაშინ სეფე-სიტყვას წაიკითხავს მისი მემკვიდრე და ძმა რეშადიო.

**დამშეულების დახმარება**

ანატოლიაში (მცირე აზიაში) დიდი შიმშილობაა, თურმე. ამის გამო ოსმალეთის მთავრობამ ბძანება გასცა, რომ ანატოლიაში რუსეთიდან შემოტანილ ხორბალსა და ფქვილს ბაჟი აღარ გადაჰხდესო.

**ფლოტის ვარჯიშობა**

მარმარილოს ზღვაში (სტამბოლს ახლო) ოსმალეთის მეზღვაურები ყოველ დღე ვარჯიშობენ და სროლას სწავლობენ. ესკადრა, შემდგარი 5 გემისა და რამდენისამე ნაღმოსნისა და კონტრ-ნაღმოსნისაგან, აპირობს ბალტიკში წასვლას.

**ეროვნულ ბანკის დაარსება**

ოსმალური გაზ. „იკდამ"-ი იუწყება: ამ მოკლე ხანში გაიხსნება ეროვნული ბანკი, რომელსაც თანხა ექნება 3.300,000 ოსმალური ლირა (25 მილიონ მანეთამდე), განაწილებული 300 წილად (პ. ღ.).

# ბალკანეთი

**ავსტრია და ოსმალეთი**

ჩეხიაში მომხდარმა ამბებმა ძლიერ დააფიქრეს და მოტეხეს ავსტრიის მთავრობა. ავსტრია დათმობის გზას დაადგა ბალკანეთის საკითხში და აღარა სთხოვს ოსმალეთს ბოიკოტის მოსპობას, იგი ცდილობს ამ ჟამად, რომ ოსმალეთის მთავრობა ფულით როგორმე დააკმაყოფილოს და ბოსნია-ჰერცოგოვინას შეერთების დაკანონებაზე დაიყოლიოს.

„გოლ. მოსკოვი"-ს ატყობინებენ ვენიდან: ავსტრიისა და ოსმალეთს შორის საიდუმლო მოლაპარაკებაა გამართული ფულით დაკმაყოფილების შესახებ. ოსმალეთი 200 მილიონ ფრანკსა თხოულობს ბოსნია-ჰერცოგოვინაშიო.

**რუსეთი და სერბია.**

ამას წინად სერბიაში ხმა გავრცელდა, რომ რუსეთის მთავრობა დათანხმდა ბოსნია-ჰერცოგოვინას შეერთებასო. ამის თაობაზე პეტერბურგიდან ატყობინებენ სერბიულ გაზეთებს, რომ ეს ხმა ნამდვილი სიცრუეაო. ყველა რუსის პოლიტიკური მოღვაწე ისე, როგორც მთელი რუსის ხალხი მტკიცედ დარწმუნებულია, რომ რუსეთის მთავრობა არ წავა წინააღმდეგ მთელის რუსის ხალხის და ყველა სლავიანთა მოთხოვნისა და გრძნობისაო.

ამ დღეებში ხელს აწერენ სათათბიროს დეპუტატები გრაფი ვ. ბობრინსკი, ა.ა. სტაროვიჩი და პაპილენკო.

**ოსმალეთი და ჩერნოგორია.**

„კარა-ბიურო"-ს ატყობინებენ სტამბოლიდან: 20 ნოემბერს ხელი მოაწერეს ოქმს ოსმალეთ-ჩერნოგორიის მოლაპარაკების შესახებო. ყველა სადავო ადგილები, გარდა ეზერისა, ჩერნოგორიას აკუთვნესო. ეს სადაო ადგილები მდებარეობს ოსმალეთ-ჩერნოგორიის საზღვარზე. (პ.ს.)

**ბოიკოტი.**

ავსტრიის მთავრობამ რამდენჯერმე სთხოვა ოსმალეთის სამინისტროს, ავსტრიულ საქონლის ბოიკოტი მოსპეთო. ამაზე ოსმალეთის მთავრობას უპასუხნია, რომ ჩვენში ეხლა თავისუფალი წესები სუფევს და არავითარი უფლება არა გვაქვს, თავისუფალ ოსმალელ მოქალაქეთ ძალა დავატანოთ, რომ ავსტრიის საქონელი იყიდონ, ან ავსტრიის გემები დასცალონ. ეგ ხალხის ნებაა და ჩვენ ვერავითარ დახმარებას ვერ გაგიწევთ მაგ საქმეშიო.

**ინგლისი და ოსმალეთი**

ავსტრიას უნდოდა თურმე თავისი ფლოტი გაეგზავნა დემონსტრაციის მოსახდენად ოსმალეთის ზღვების ნაპირებზე, მაგრამ ინგლისს მაშინვე გამოეცხადებინა ავსტრიის მთავრობისთვის, რომ პირობის ძალით მოვალენი ვართ ოსმალეთის ნავთსადგურების ხელუხლებლობა დავიცვათო, და ავსტრიას ხელი აეღო თავის განზრახვაზე.

**საფრანგეთი და ოსმალეთი**

გაზეთები იუწყებიან, რომ ავსტრიამ სთხოვა საფრანგეთს შუამავლობა გაეწია და ოსმალეთს ავსტრიელ საქონლის ბოიკოტი მოესპობინეთო. საფრანგეთის მთავრობას მტკიცე უარი შეეთვალა ამაზე ავსტრიისთვის: თავისუფალ ერს სრული უფლება აქვს ისეთი ღონისძიება მიიღონ თავის ინტერესების დასაცველად, როგორიც მას საჭიროდ მიაჩნიაო.

**ვამბერის წერილი.**

გამოჩენილმა მადიარმა (ჰუნგრელმა) მეცნიერმა პროფესორმა ვამბერიმ წერილი დაბეჭდა „პესტერ ჟურნალ"-ში ავსტრ-ჰუნგრეთისა და ოსმალეთის ურთიერთობის შესახებ. ვამბერი სწერს: რამდენისამე დღის წინ წერილი მივწერე „ერთობისა და პროგრესის კომიტეტს", გავაფთხილე და აღვნიშნე ის განსაცდელი, რომელშიაც ჩავარდება ოსმალეთი, თუ ავსტრ-ჰუნგრეთთან ომი მოუვა. ვამბერი იუწყება, რომ მოკლე ხანში სტამბოლში წავა ჰუნგრების დეპუტაცია, რომელიც მიულოცავს ოსმალეთს კონსტიტუციონურ რეჟიმის დამყარებას. (პ. ს.).

# თეატრის მატიანე

—?—

**ქუთაისი.** ქ-ნ დავითაშვილის ბენეფისს ზედ დაერთო საქველმოქმედო სადამო გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ. საზოგადოება, რომელიც არა ერთხელ დაუტკბია ქ-ნ დავითაშვილს თავის მოხდენილ თამაშით, კლუბში საცეკვაოდ და საქეიფოდ გაეშურა, და ქართული სცენის მოჭირნახულის დღესასწაულს მცირე ხალხი დაესწრო. ქ-ნ დავითაშვილს არა ერთხელ და ორჯელ მიუღია საქველმოქმედო სადამოებში მონაწილეობა უსასყიდლოდ და სადამოს გამმართავებმა ისიც-კი არ იფიქრეს, რომ თავიანთი სადამო არტისტის ბენეფისის დღეს არ გაემართად.

ხალხის სიცოტავისა თუ სხვა მიზეზით წარმოდგენამ უგემურად ჩაიარა. მეტერლინკის „მონნა ვანნა" ჩვენმა არტისტებმა შესაფერად ვერ წარმოადგინეს, თუმცა მობენეფისე სცდილობდა, მას ხელს უწყობდა ბ-ნი ზარდალიშვილი, მაგრამ საზოგადოება ვერ გაიტაცეს.

# უცხოეთი

**ეროვნული ბრძოლა ავსტრიაში**

სამხრეთ-სლავიანთა შეერთებულ დეპუტატების საპარლამენტო კლუბი 35 ხმის უმეტესობით 1 წინააღმდეგ მიემხრო ავსტრიის დეპუტატთა პალატის თავმჯდომარეს.

რეიხსტაგში (დეპუტატთა პალატაში) სხდომის დაწყების უმალ 22 ნოემბერს ჩეხმა-რადიკალებმა მანიფესტაცია მოახდინეს თავმჯდომარის გუშინდელ განცხადების წინააღმდეგ: მათ ასტეხეს საშინელი სტვენა და ხმაურობა, შემდეგ-კი სხდომამ უინციდენტოდ ჩაიარა. (პ. ს.)

ჩეხი-დეპუტატები კიდევ აპირებდნენ მანიფესტაციის გამართვას პარლამენტში, მაგრამ პირველმა მინისტრმა ბინერტმა გამოუცხადა პრაგიდან მოსულ დეპუტაციას, რომ პრაგაში საალყე წესები მალე იქნება გაუქმებულიო, და ამით დააშოშმინა დეპუტატები.

**იაპონიისა და შეერთებულ შტატების შეთანხმება.**

იაპონიასა და შეერთებულ შტატებს შემდეგ შინაარსის შეთანხმება დაუდგიათ ერთმანეთთან:

1. ორივე მთავრობა ხელს შეუწყობს თავიანთ სახელმწიფოების ვაჭრობის მშვიდ აბიან და თავისუფალ განვითარებას წყნარ ოკეანეში.

2. ორივე მთავრობა ეცდება დაიცვას ეხლანდელი მდგომარეობა წყნარ ოკეანეში და ვაჭრობისა და მრეწველობის უფლების თანასწორობა ჩინეთში.

3. ამის დაკვალად ორსავ მთავრობამ მტკიცედ გადასწყვიტეს პატივსცემით მოეპყრან ერთმანეთის სამფლობელოს წყნარ ოკეანეში.

4. მათ გადასწყვიტეს აგრეთვე დაიცვან ჩინეთის დამოუკიდებლობა და ხელუხლებლობა და ამასთანავე დაიცვან ყველა სახელმწიფოს თანასწორი უფლება ვაჭრობისა და მრეწველობისა ჩინეთის იმპერიაში.

5. თუ წყნარ ოკეანეში ეხლანდელ საქმეთა მდგომარეობას ან ვაჭრობის თანასწორობას რაიმე საფრთხე აღმოუჩნდება, ორივე მთავრობა მოილაპარაკებს და ერთმანეთის თანხმობით მიიღებს იმ ღონისძიებას, რომელსაც სასარგებლოდ ჩასთვლის,

# რუსეთი

**მთავრობა და „ჭეშმარიტი რუსები".** „ბირჟ. ვედ."-ს სარწმუნო წყაროებიდან გაუგია, რომ მთავრობას გადაუწყვეტია ყურადღება მიაქციოს „ჭეშმარიტ რუსების" მოქმედებას. საქმე იმაშია, რომ „კავშირის" მოღვაწენი, განსაკუთრებით პროვინციაში, არავის და არაფერს ანგარიშს არ უწევენ. მთელი წყება გუბერნატორების მოხსენებისა მოწმობენ ამას. ადგილობრივმა ადმინისტრაციამ არ იცის, ვის გაუგონოს: გუბერნატორებს, თუ „ჭეშმარიტ რუსთა კავშირეს". ამბობენ, მთავრობას გადაუწყვეტია მხნე ზომები მიიღოს „კავშირის" წინააღმდეგ.

**ჩამოხრჩობა.** სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტეს: ტფილისში—2, კიევში—2, ეკატერინებურგში—2, ვარშავაში—1, ხარკოვში—2, ტომსკში—1, ვილნოში ჩამოახრჩეს—1.

**სალდათების საქმე.** ქალაქ მინსკში გაირჩა ორი საქმე სალდათისა, რომელთაც ტუსაღის მოკვლა და ტუსაღ-ქალის გაუპატიურება ჰბრალდებოდათ. საქმე ამნაირად ყოფილა: ამ სალდათებს საპატიმროში მიჰყავდათ სამი ტუსაღი, მათ შორის ერთი ქალი. გზაში ტუსაღი ქალი ტყეში შეუყვანიათ და გაუუპატიურებიათ. ამ დროს ერთი ტუსაღთაგანი გაქცეულა. სალდათებს რომ დაემალათ თავიანთი ბოროტ-მოქმედება, აუღიათ და მეორე ტუსაღი მოუკლავთ, მთავრობისთვის კი უთქვამთ, რომ გაქცევის დროს მოვკალითო. ყველაფერი ეს შეურაცხყოფილმა ქალმა გაამხილა. სალდათებს სასამართლომ სამუდამო კატორგა გადაუწყვიტა.

**უსაქმოდ დარჩენილ მუშათა შორის.** უსაქმო მუშათა რიცხვი რუსეთში აუწერელის სისწრაფით მრავლდება. მათი მდგომარეობა აუტანელია. ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრს კამენსკის სახაზინო ქარხნის მუშებისაგან შემდეგი დეპეშა მიუღიათ: „გევედრებით, თქვენო აღმატებულებავ, რაიმე სამუშაო მოგვეცეთ. მივეცით თხოვნები გუბერნატორს, სამთო მთავარ უფროსს, სამთო დეპარტამენტის დირექტორს—პასუხი არ არის. არაფერი გაგვაჩნია, მარტო ქარხნით ვცხოვრობდით. ზამთარი დადგა, მდგომარეობა აუწერელია. გევედრებით, გვიშველეთ რამე". კამენსკის სახაზინო ქარხნის მუშები გამონაკლისს არ შეადგენენ, ასეთსავე მდგომარეობაში არიან ბევრი სხვა ქარხნის მუშებიც. მშველელი კი არავინ არის.

**თავისუფალ-მსმენელ ქალების გაჭირვება.** როდესაც მიმდინარე სამოსწავლო წლის თავში გამოირკვა, რომ თავისუფალ-მსმენელ ქალებს უნივერსიტეტში აღარ მიიღებენ, ქალებმა უმაღლეს კურსებს მიჰმართეს. ქალებს უკვე სწავლის ფული შეტანილი ჰქონდათ, როცა ხელახლად უფლება მიეცათ უნივერსიტეტში შესვლისა. ბევრმა ქალმა მოინდომა უნივერსიტეტში დაბრუნება, მაგრამ სწავლის ფული უკვე შეტანილი აქვთ უმაღლეს კურსებზე და აღარ იციან, რა ჰქნან. მათ მიუმართნიათ კურსების დირექტორისათვის, რომ ფული უკან დაბრუნებოდათ, მაგრამ უარი მიუღიათ.

**გაზეთის დაჯარიმება.** ამ რამდენიმე დღის წინად „რუსკ. სლოვო"-მ დაბეჭდა სენატორ გარინის მოსკოვის რევიზიის შედეგები. ამის გამო ადმინისტრაციას „რუსკ. სლოვო" 1000 მანეთით დაუჯარიმებია.

**სოციალ-დემოკრატები.** როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, მოსკოვში პოლიციას დაუპატიმრებია სოციალ-დემოკრატების საოლქო კომიტეტის წევრები. სულ დაუპატიმრებიათ 12 კაცი.

**ოდესის გენერალ-გუბერნატორი.** ოდესის გენერალ-გუბერნატორი, ჩვენში ცნობილი ტოლმაჩევი, თანამდებობას თავს ანებებს თურმე. ოდესაში, როგორც ვიცით, პოლიციამ ორი აფიცერი მოჰკლა. ამისთვის დიდი ყურადღება მიუქცევიათ. საქმის მდგომარეობის გამოსარკვევად ოდესაში უკვე გაიგზავნა პეტერბურგიდან გენერალი პანტელეევი.

**თურქესტანის რევიზია.** გრაფ პალენს უკვე დაუმთავრებია თურქესტანის მხარის რევიზია. ამ მხარის ადმინისტრაციაში აუარებელი ბოროტ-მოქმედება აღმოუჩენიათ. ბევრი მოხელე [illegible] გამოუძიებიათ. გაზეთების სიტყვით, გრაფ პალენის მიერ აღმოჩენილი ბოროტ-მოქმედებანი სენატორ გარინის რევიზიის შედეგებს გადააჭარბებსო. საზოგადოდ, ამ ბოლო დროს მთავრობა სხვა და სხვა ადგილას რევიზიას ახდენს. რევიზიის შედეგებს არავინ მოელოდა. ყველგან მექრთამეობა, ბოროტ-მოქმედება და კანონის არაფრად ჩაგდებაა გაბატონებული.

რედაქტორ-გამომცემელი

**ივანე სოზიაშვილი.**






გალოშები

„პროვოდნიკისა"

1897

პატენტ-მიღებული

საუკეთესო მთელ ქვეყნიერობაზე

პირველი ადგილი უჭირავთ სიმკვრივით, და ზედმოხმარებულ ფასონის სილამაზით საქონლის ღირსებით.

**უეჭველი თავმდებობა საქონლის სამაგალითო სიმტკიცისა და სიმაგრისა ყოველ წყვილზე.**



ბუდები „პროვოდნიკისა"

1888

წარმომადგენლები მთელ კავკასიისთვის

ტფილისი და ბაქო. მიუნზ და ვეის

(50—б.—26)

„გრამოფონი"

გოლოვინის პროს., № 9. ტფილისის განყოფილება გოლოვინის პროს., № 9.

ერიდეთ სიყალბეს!!!

ყურადღება მიაქციეთ აქ დახატულ საფაბრიკო ნიშანს, რომელიც ყველა ჩვენ გრამოფონსა აქვს!!!

გრამოფონი

საუკეთესო გასართობია სახლში!!! მღერის, ლაპარაკობს, უსტვენს, თამაშობს და სხვ. შეძლებას იძლევა ყოველ დროსა და ჟამს, ყური დაუგდოთ საუკეთესო მომღერლის ხმას და სხვა და სხვა კონცერტებს. ყველას შეძლებას აძლევს, გაინვითაროს სმენა და გაიმდიდროს მუსიკალური ცოდნა. შეძლებას აძლევს ყველას, გამართოს თავის სახლში საცეკვაო სალამოები. აღვიძებს მუსიკისადმი სიყვარულს. სასარგებლოა არა მარტო როგორც გასართობი, არამედ აღზრდის საქმეშიაც. იგი სახელია ჩვენი მოლაპარაკე მაშინებისა.

**ფასები მთელი რუსეთისთვის, კავკასიისთვის და იმიერ-კასპიის მხრისთვის ერთნაირია,—შეუვაჭრებლად.**

ყველა ფირფიტა, რომელიც ჩვენ მიერ დაწესებულ ფასებზე იაფად იყიდება, ან ყალბია ან ძველი, უკვე ნახმარი, და ასეთ ფირფიტებისთვის პასუხის-მგებლობას ვერ ვიკისრებთ.

**მიღებულია აპარატები სულ ახალ კონსტრუქციისა** საუკეთესო მექანიზმით და ახალ მოდელებთან.

მიღებულია აუარებელი გურული ხმები.

მოითხოვეთ ნახატი კატალოგები აპარატებისა და სია ფირფიტებისა, რომლებიც იძლევა და იგზავნება უფასოდ.




ვისაც ეინტერესება და სურს,

**საზოგადოება სთხოვს დაურიდებლად მობრძანდეს მაღაზიაში, გოლოვინის პროსპ., № 9.** სადაც აპარატებს დაუკრავენ და შეუძლიანთ მუქთად მოისმინოს.

აპარატები იყიდება სამი წლის პასუხის-მგებლობით!!!



განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ ის ფირფიტები, რომლებზედაც გადაღებულია ნამღერი მთელ დედამიწაზე ცნობილ მომღერალ ქალებისა და კაცებისა. ამ მომღერალთა გვარები და ფოტოგრაფიული სურათები დაბეჭდილია კატალოგებში.

**ამა წლის 1 დეკემბრიდან გაიყიდება ორ-მხრივი ფირფიტები ადგილობრივ ენებზე. პატარა ფირფიტა 75 კაპ. და გრანდი 1 მ. 50 კ. ვთხოვთ პატივცემულ საზოგადოებას ეს მხედველობაში მიიღოს.**

ერიდეთ სიყალბეს!

(15—[illegible]—5)